ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 შაბათი, 22 დეკემბერი № 1678

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“-„ცნობის ფურცლის“ რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათზე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію «Цнобисъ-Пурцели»—«Моамбе». ტელეფონი № 372.

მიიღება ხელის-მოწერა 1902 წლისათვის

„მოამბე“-„ცნობის ფურცელ“-ზე

სურათებიანი დამატებით.

ყოველ თვიური ჟურნალი „მოამბე“ (წელიწადი მეცხრე)

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:		საზღვარ გარეთ:	
1 წლით	10 მ.	1 წლით	13 მ.
6 თვით	6 „	6 თვით	7 „
„	3 „	3 „	5 „

ყოველ დღიური გაზეთი „ცნობის ფურცელი“ (წელიწადი მეშვიდე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით.

კავკასიაში და რუსეთში:		საზღვარ გარეთ:	
1 წლით	6 მ.	1 წლით	11 მ. — კ.
6 თვით	4 „	6 თვით	4 „ 50 „
1 „	75 „	1 „	1 „ 10 „

ვინც „მოამბე“-ს მთელის წლით გამოიწერს, „ცნობის ფურცელი“ უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატოს ერთი მანეთი, რომელიც ხელის მოწერისათანავე უნდა იქმნეს შემოტანილი.

სურათებიანი დამატება

გაეგზავნება მხოლოდ ორივე გამოცემაზე ხელის მომწერთ.

წლიური ფასი განაწილდება ორივე გამოცემაზე: პირველად—6 მან., 1-ლ მარტამდე—3 მან., 1-ლ აგვისტომდე—2 მან.

განცხადების ფასი: 1-ლ გვერდზე სტრიქონი—10 კაპ., მე-4-ზე—5 კაპ. თუ განცხადება 3-ჯერზე მეტად დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ეღირება.

რედაქცია და კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე. ტელეფონი № 372.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. въ редакцію „Моамбе“ и „Цнобисъ-Пурцели.“

ქართული თეატრი

კვირას, 23 დეკემბერს 1901 წელს

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

« დაკლებულის ფასებით »

I

თამარ ბატონიშვილი

ისტორიულ დრამა 5 მოქ. კ. მესხისა.

II ახალი პიესა

ქლიავი

ვოდევილი 1 მოქ. რუსულიდან ნ. გალუსტოვისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. გაბუნია-ცაგარლისა, ტასო აბაშიძე, ჩერქეზიშვილი, კარგარეთელი, ბიერიძისა, მდივანი; ბ.ბ. გუნია, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, მათირიშვილი, ყურელი, ურუშაძე, მირიანოვი, იმედაშვილი, სარჯველაძე და სხვ.

დასაწყისი ზუსტად 8 საათზე. ფასები დაკლებულია.

მზადდება გედევანოვის საბენეფისოდ ახალი პიესა „მუზმუზელა“ მოლიერისა.

რეჟისორი ვ. გუნია.

კბილის საექიმო კაბინეტი ელისაბედ რომანიშვილისა

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9 საათიდან შუადღის 2 საათ. და საღამოს 4 საათიდან 7 საათამდე. იგინის ქუჩის დასწვრივ ვერის თავდაღმართზე, ოსიფოვის სახლი № 1.

სფაბრიკო საწყობი

ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა

გ. ი. კალლიზენ

რჟევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკებისა.

ტფილისი, ლოვინის პროსპ. მანთაშევის სახლში. ✿ ბაქო, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და ამუნდშტუკის, ითლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი, საკანცელარიოები. ტელეფონი № 679. (ნ. 0—39)

ტფილისის კერძო ამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს ებენ ყოველ დღე, კვირა ეების გარდა

ილით:

ვ. ი. ჟიჟინა-კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 10 საათამდე.

ი. ზ. ფიოდოვი—შინაგანი და საბავშვო 9—10 საათამდე.

ზ. ზ. მაღალაძე—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათს და ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდ

ექ. ქალი მ. აჯრაძე—ბავშვებისა 11—12.

ნ. ტ. მულინყურისა, ყელისა და ცხვირისა 10—11 საათამდ

ქ. მ. ელიოშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათ.

ა. ზ. ბარხუდ. დედათა სნეულებანი ორშაბათობით, ოთხშაბათით და პარასკეობით 12—1 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

ი. დ. ბეჟთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი $1^1/_2$—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. ზ. მაღალაშვილი.—შინაგანი და ბავშვებისა 5—6 საათამდე.

ზ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 ს-დე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოლები—მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ტელეფონი № 274. (წლ.)

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილის—12—1, საღამოთი 6—7 ყორღანოვის ქუჩა, № 16, სა.კ. სახლი, ტელეფონი. 791.

ქუთაისში, ვ. ბეჟანეიშვილის მაღაზიაში, იყიდება „ცნობის ფურცლი“-ს №№-ბი. თითო №-რი 3 კ. დამატებით — 5 კაპეიკ

ამ ნომერში ექვსი გვერდია

კახეთის მევენახეთა საზოგადოების **„კახეთის“** გამგეობას პატივი აქვს აუწყოს საზოგადოების წევრთ, რომ 1902 წლის 6 იანვარს დანიშნულია **საზოგადო კრება** წევრთა, თელავში, დილის 10 საათზე. კრებამ უნდა განიხილოს: წლიური ანგარიში, 1901/1902 სამოქმედო წლის ხარჯთ-აღრიცხვა; ღვინის დაფასებისა და ვენახების სეტყვისაგან საურთიერთო დაზღვევის პროექტები; წესდების ზოგიერთ მუხლების შეცვლის შესახებ მოხსენება; საზოგადოებისათვის საჭირო უძრავ მამულების შეძენის საქმე; საზოგადოების უზრუნველ ყოფა იმ მამულთა უძრავ ქონებით, რომელნიც კუთვნილზე მეტს გაიტანენ საზოგადოებიდან; სეტყვასთან ბრძოლის მოწყობა მორტირების საშუალებით; ავტომობილების შეძენა ღვინის საზიდავად; თელავის მომხმარებელ საზოგადოების კომიტეტის წინადადება; საზოგადოების წევრის ილ. წინამძღვარიშვილის განცხადების გამო მოხსენება; საკომისიო ჯილდოს რაოდენობის აღნიშვნა; მოგების განაწილება; საზოგადოების ახალ წევრების არჩევა; გამგეობის წევრთა და მათ კანდიდატთა არჩევა. (3—3)

კიდევ უმაღლესად ნაბოძები ფულის შესახებ

„ცნობის ფურცლის“ 1650 ნომერში დაისტამბა ბ. ს. დათეშიძის წერილი, თუ როგორ მოიხმაროს ჩვენმა თავად-აზნაურობამ უმაღლესად ნაბოძები ფული და აი ამ წერილში გზა და გზა ბ. დათეშიძე არჩევს ჩემს მოსაზრებას, და სხვათა შორის თავისი მოსაზრებანი უნდა დაამტკიცოს ძველ-სენაკის სკოლის მიგალითით.

ჩვენისთანა ღარიბ ხალხისათვის დიდი თანხაა 40 ათასი მანეთით დახმარება ყოველ წლიურად, და აი ამიტომ სწორედ საჭიროა—ეს ფული რაც შეიძლება უუსაჭიროესს საქმეს მოხმარდეს. ესევე მოსაზრება მაიძულებს ბ. დათეშიძეს თავისი შეცდომები უჩვენო და, ვინიცობაა მე და ბ. დათეშიძე ისე ბედნიერნი შევიქენით, რომ თავად-აზნაურობამ ჩვენი პროექტი მიიღო, შეცდომას ავაცდინო. ბ. დათეშიძის წერილის პირველ ნახევარს, სადაც აქვს გადატარებული—თუ რომელი ტიპის სკოლა სჯობს ჩვენთვის, მე არ ვეხები: მე მხოლოდ წერილის მეორე ნაწილზე მექნება ლაპარაკი, სადაც არკვევს, სად სჯობს გაიხსნას მოსამზადებელი სკოლები იმიერ თავად-აზნაურთათვის ქ. ქუთაისში, თუ დაბებში.

ბ. დათეშიძე იმ აზრისაა, რომ მოსამზადებელი კლასები უნდა გაიხსნას ქუთაისშიო, რადგანაც თავად-აზნაურობა აქ იყრის თავსაო, გუბერნიის ცენტრია, მიმოსვლა ადვილია, ბინა უკეთესი და იაფია. როგორც სჩანს, ბ. მასწავლებელს ძალიან ცოტა საქმე ჰქონია სოფელთან, სოფლის წვრილ-ფეხა თავად აზნაურობის უკიდურეს მდგომარეობის შესახებ არა სცოდნიარა. დალოცვილს, კლდიაშვილის უკანასკნელი მოთხრობა მაინც წაეკითხა!

ვისაც სოფელში უცხოვრია, ან სოფლის ვითარებისათვის ყურადღება მიუქცევია, იმას უეჭველად ეცოდინება, თუ რა მატერიალურ გაჭირვებაშია სოფლის მცირე მამულიანი თავად-აზნაურობა. ამას ზედ დაურთეთ ის, რომ ჩვენი თავად-აზნაურობა მოკლებულია სოფელში პირველ დაწყებითი სკოლას: სოფლის პირველ დაწყებით სასწავლებლები წოდებრივია, საგლეხოა. აქ ადგილი გლეხთა შვილებისათვისაც საკმაოდ არ არის—ასე გასინჯეთ კენჭით მიღებაც შემოვიდა ხმარებაში, რადგანაც ყველა მსურველთ სკოლა ვერ იტევს, და თავად-აზნაურების შვილებს ვინ მიიღებს? თუ ადგილი იქმნა თავისუფალი და მიიღეს კეთილ-შობილის შვილი, მაშინ ცალკე გადასახადია საჭირო. ღარიბ აზნაურს, ბევრი შვილების პატრონს, არ აქვს შეძლება, რომ ყველა თავისი შვილები ქალაქში წაიყვანოს და სკოლაში მიაბაროს. აი ამისთვის არის საჭირო, თითო მაზრაში მაინც გაიხსნას თითო მოსამზადებელი სკოლა. ბ. დათეშიძე გვარწმუნებს, რომ ქალაქ ქუთაისში ბავშვის შენახვა უფრო ადვილიაო, მაგრამ სცდება: ქალაქ ოზურგეთში ბავშვის შენახვაში მშობლები იხდიან 3—5 მანეთამდის. ამასაც ფულით კი არა, ყველით, ღომით, ფქვილით და სხვ. ზუგდიდში ამდენივე ჯდება ბავშვის შენახვა. მე მგონია, ზემო იმერეთში და ლეჩხუმ-რაჭაში ბევრით ამაზე უფრო ძვირი არ უნდა დაჯდეს. ქუთაისში კი 8—15 მანეთამდის ჯდება თვეში ბავშვის შენახვა. რაც შეეხება ძველ-სენაკს, აქ უფრო იოლად გადიან: აქ საუკეთესო ბინად მიჩნეული ღირს თვეში 4 მანეთი. საზოგადოდ კი აი რას იხდიან თვეში: 1 მანეთს ფულად, 2 ფუთს ფქვილს და რამდენიმე ყველს. თუ ბ. დათეშიძე მიშოვის ამ ფასში ქუთაისში ბინას, რამდენიც უნდა მოვგვრი ბავშვებსა. რამდენი მაგალითი ვიცი, რომ ბავშვს მშვენივრად გაუთავებია კურსი სენაკში და მშობელს ქუთაისში არ წაუყვანია: ხარჯს ვერ ვაუძლებო.

ბ. დათეშიძეს ეშინიან, პროვინციაში მოსამზადებელ სკოლას საკმაოდ არ ეყოლება მოსწავლეებიო, და ამ თავის აზრს ხსნის სენაკის სკოლის მაგალითით: „სენაკში სწავლობს—120—150 ყმაწვილამდეო“. ჯერ ერთი, სენაკის სკოლაში სწავლობს 182 მოსწავლე და არა 120. მეორეც, თუ ეს რიცხვი მცირეა, ეს იმის ბრალი კი არ არის, რომ სენაკის სკოლა პროვინციაშია გახსნილი: აქ სულ სხვა მიზეზებია, რომლის დასახელება აქ უადგილოდ მაგვაჩნია. მესამეც, 182 მოსწავლე ოთხ განყოფილებისათვის როდია „მცირე“: უცხოელნი ასე მაინც ჰფიქრობენ. მეოთხეც, თუ სენაკში ცოტაა შეგირდები, ეს იმის მომასწავებელი როდია, რომ სხვა დაბა-სოფლებშიაც ასე მცირე იქმნეს მოწაფეთა რიცხვი. მაგალითად, ლანჩხუთის ორ კლასიან სასწავლებელში შარშან-წინ სწავლობდა 60-მდე თავად-აზნაურთა შვილები. გახსენით ზუგდიდსა და ოზურგეთში, ნახავთ, რომ ბავშვებს ტევა არ ექნებათ. თუ რამდენად გალვიძებულია წყურვილი სწავლისა, მაგალითათ, გვიმტკიცებს ლანჩხუთის ორკლასიანი სასწავლებელი, სადაც გასულ წელს სწავლობდა 423 ბავშვი! ამისთანა მაგალითები, რამდენიც გინდათ.

რაც შეეხება ჰავის სისაღეს, მეც ვეთანხმები ბ. დათეშიძეს, რომ ქუთაისის ჰავა სჯობია ოზურგეთისა და ზუგდიდისას. განა ამის გამო ყველა სასწავლებლები უნდა დავხსნათ ქუთაისში და პროვინციებიდან მოვრეკოთ ბავშვები? რატომ არა, თუ კი შეძლება ნებას გვაძლევს. „მასწავლებლებსაც უკეთეს ვიშოვით ქუთაისში“: იქ ხომ თეატრი, მუსიკა, საზოგადოება, ბივშტექსი, ანტრიკოტი და მწვანე მაუდი, თუ ვინმე ეწყობა ამას! მე სრულიად ვეთანხმები ბ. დათეშიძეს: ქუთაისში ცხოვრება მირჩევნია, პროვინციის ცხოვრებასა. მაგრამ მაგარი საკითხი ეს არის: ჩემთვის, მასწავლებლისათვის, ხსნიან სკოლას, თუ საზოგადოებისათვისა? მე ჩემდა სასარგებლოდ ვერ გადავწყვეტ ამ კითხვასა.

შემდეგ ბ. დათეშიძე ბრძანებს: ქუთაისის მაზრაში უფრო გაღვიძებულია სწავლის წყურვილიო. „თუ მთლად არ უდრის (ქუთაისის მაზრა) სხვა მაზრებს (ერთად?) სწავლის წყურვილით და ბავშვების რაოდენობით, მათ ნახევარს მაინც შეადგენს“-ო. ჯერ ერთი, ეს მართლა რომ ასე იყოს, მაშინ ჩემის მოსაზრებით უკან ჩამორჩენილ მაზრებს უნდა მოვცეთ უპირატესობა. მაგრამ ასე არ არის: ბ. დათეშიძეს „სტატისტიკამ“ უმტყუნა. აი ოფიციალური ცნობები რას ამბობენ: ქუთაისის მაზრა იპყრობს 225 ათას მცხოვრებს, მაზრაშია 42 პირველდაწყებითი სკოლა, რომელშიაც სწავლობს 4278 ბავშვი ორივე სქესისა, ერთი სკოლა მოდის 5,35 ათას მცხოვრებზე. ოზურგეთის მაზრა კი იპყრობს 95 ათას მცხოვრებს, აქვს 31 სკოლა, რომლებშიაც სწავლობს 3998 ბავშვი‘ ესე იგი თითქმის იმდენი, რამდენიც ქუთაისის მაზრაშია. ერთი სკოლა მოდის 3,^{66} ათას მცხოვრებზე, ზუგდიდის მაზრაში ერთი სკოლა მოდის 4,2 ათას მცხოვრებზე, სენაკისაში—4,7 ათას მცხოვრებზე ამ რიგად თქვენის ლოღიკის ძალით—სადაც სურვილია მეტი, იქ გავხსნათო—ქუთაისის მაზრას სულ არ ერგება.

ნიკო ჯანაშია.

დეპეშა

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

20 დეკემბერი

პეტერბურგი. 20 დეკემბერს თავად-აზნაურთა საკრებულო დარბაზში გაიხსნა მეთერმეტე კრება რუსეთის ბუნების მეტყველთა და ექიმებისა; ამ კრებაზე თავმჯდომარეობდა საპატიო თავმჯდომარე პრინცი ალექსანდრე პეტრეს ძე ოლდენბურგელი.

ვარშავა. უზამთრობა ძალიან აშინებს მემამულეთ. 19 დეკემბერს შვიდი გრადუსი სითბო იყო.

როსტოვი-დონზე. ცოტა ხნის გადაღების შემდეგ კიდევ დაიწყო წვიმა. ნაოსნობა არ შეწყვეტილა.

სარატოვი. საგუბერნიო საერო გამგეობის თავმჯდომარედ ამოირჩიეს კამიშინის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი გრაფი ოლსუფიევი.

ხარკოვი. საგუბერნიო საერო კრება დაიხურა.

კიევი. ქალაქის ზევით და ქვეით დნეპრი სულ გაიწმინდა ყინულისაგან; მეორე ნაპირზე გემებით გადადიან.

გლაზგო. „რეიტერის სააგენტო“. საზღვაო უწყებამ წინადადება მისცა კლოიდის გემების. ამშენებელთ წარმოადგინონ ხარჯთ-აღრიცხვა, რა დაჯდება გაკეთება ორი გემისა, ხუთი ჯავშნიანი კრეისერისა-პირველი კლასისა და ორიც მესამე კლასის კრეისერისა გემებზე იქნება მოთავსებული მთელი ბრიტანიის ფლოტის უდიდესი ზარბაზნები. ხელშეკრულობის განაწილება მალე მოხდება.

ბელგრადი. რუსეთის ელჩმა ჩარიკოვმა გარდასცა საერო კრებას წერილი, რომელშიაც გამოთქმულია რუსეთის ხელმწიფის მადლობა მოლოცვისათვის, რომელიც საერო კრებამ უძღვნა მას მისი იმპერატორებითის უდიდებულესობის სახელწოდების დღის გამო.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

საფრანგეთი. დეპეშებში წაიკითხავდით, რომ პარიზში ხალხის წარმომადგენლის ცნობილ დეპუტატის ბოდენს ძეგლი უკურთხეს. 50 წლის წინად მეორე რესპუბლიკის პრეზიდენტმა ლუი ბონაპარტემ დიდი და მძიმე საქმე მოახდინა. რესპუბლიკური წესდებება დაამხო და თავის თავი იმპერატორად გამოაცხადა. წინააღმდეგობა ამას მარტო დემოკრატებმა გაუწიეს. ბოდენიც ამათში ერია და თავისუფლებისა, დემოკრატიისა და რესპუბლიკის კულისათვის თავიც დასდო. საფრანგეთის ეხლანდელმა დემოკრატიამ ძეგლი დაუდგა ბოდენს. 9 დეკემბერს ეს ძეგლი დიდის ამბით აკურთხეს და ბოდენის სახსოვრად დღესასწაული გამართეს. ამ დღესასწაულში რადიკალებსა და სოციალისტებს გარდა, დანარჩენმა დასებმაც მიიღეს მონაწილეობა. თვით ნაციონალისტებიც კი არ ჩამორჩნენ სხვებსა, ოღონდ ეს არის, რომ ნაციონალისტებმა და მელინისტებმა სულ სხვა აზრით მიიღეს მონაწილეობა: ხალხისა შეეშინდათ, რას იტყვის, რესპუბლიკისა და ერის ინტერესებისათვის წამებულ მოღვაწის ხსენებას პატივი რომ არა ვცეთო. მთავრობაც დაესწრო ძეგლის კურთხევას. პრეზიდენტ ლუბეს, პალატის თავმჯდომარე დეშანელის ნათქვამ სიტყვებს ხომ დეპეშებშიაც წაიკითხავდით. პრეზიდენტს ლუბეს ნაპოლეონ III საქციელი დაგმო და ხალხისთვის აღუთქვა: რესპუბლიკის წესებს მტკიცედ დავიცავ და ჩემს მოვალეობას სავსებით შევასრულებო. ლუბეს რომ ლაპარაკი გაეთავებინა, მუზიკას ეროვნული მარსელიეზა დაეკრა. მერე სხვა ორატორებს დაეწყოთ ლაპარაკი. პირველად სენატის თავმჯდომარეს ფალიერს ელაპარაკნა. «რუსსკია ვედომოსტი»-ს კორესპონდენტი ასე გადმოგვცემს მის ნალაპარაკევს:

«ფალიერმა მოკლედ, მაგრამ ცოცხლად დაახასიათა ბოდენი. თავ-დაბალი, უბრალო და გულ-წრფელი კაცი იყო, თანაც მეტად სულგრძელი და გმირიო. ბოდენი ჯერ კიდევ დეპუტატადაც არ იყო, რომ მთელ თავის დონეს და დროს სულ მუშებს ალევდაო. ხალხი «ღარიბების ექიმს» ეძახდათ (ბოდენი ხელობით ექიმი ყოფილა). ბოდენმა სოციალურ საქმეების შესწავლასაც ბევრი დრო მოანდომაო. სენატის თავმჯდომარემ გაკვრით სასტიკად დაჰგმო ბურჟუაზიული წეს-წყობილება: ბურჟუაზია მარტო გამდიდრებას და უბრალო გართობა-სიამოვნებას დაეძებსო. როცა მთავრობამ მოწინავე კლასებს თავისი საზიზღარი სიტყვებით მიჰმართა: «გამდიდრდითო», ბოდენმა ზიზღით მოისმინა და სთქვა: ეხლა კი სწორედ დაიღუპება საფრანგეთიო. ფალიერმა ეს ივლისის მონარქიის ბურჟუაზიაზე და მის ღირსეულ წარმომადგენელ გიზოზე სთქვა. მაგრამ მსმენელებმა ძალა-უნებურად ეხლანდელი ბურჟუაზიაც გაიხსენეს (თვითონ ფალიერიც ამ კლასს ეკუთვნის). ეს ბურჟუაზიაც გამდიდრებისა და ფუფუნების მეტს არას ჰფიქრობს ამ წუთის-სოფელში. დასასრულ ფალიერმა უამბო მსმენლებს თუ რა-ნაირად შეებრძოლა ბოდენი ნაპოლეონ III-ს—ბოდენი თავის ამხანაგებით ეცადა მუშები აეჯანყებინა და ნაპოლეონისათვის წინააღმდეგობა გაეწია, ამ ბრძოლის დროს თავი შესწირა ხალხის ინტერესებსაო. ბრძოლის დროს ზოგიერთებს სასაცილოდ აგდებდნენ ბოდენი. გმირ დეპუტატს ამაყად ეთქვა: «მე გიჩვენებთ, თუ რანაირად თავსა სდებენ ხალხისათვის დღეში 25 ფრანკად დაქირავებული დეპუტატები!»

დეშანელმაც ნაპოლეონ III-ის საქციელზე ილაპარაკა და ახსნა, თუ რა და რა მიზეზების წყალობით გაიმარჯვა ამ თავზეხელ აღებულმა კაცმაო. ამ ავანტიურის ბატონობამ დიდ ხიფათში ჩააგდო საფრანგეთი: უცხოელები (გერმანია) შემოესივნენ და ორი პროვინცია წაართვეს. დეშანელის აზრით ნაპოლეონის გამარჯვება და მეორე რესპუბლიკის დამარცხება სულ ხალხის ბრალი იყო: სულ ირეოდა, დიდ მანიფესტაციებს ახდენდა დაბოლოს მუშა ხალხმა ივნისის რევოლუციაც მოახდინაო (1848 წ.) დეშანელმა ბურჟუაზიის მოკლე ჭკუა, მუშა ხალხთან უსამართლობა, გულქვად მოქცევა კი ერთის სიტყვითაც არ ახსენა. ნამდვილად კი ამ ბურჟუაზიამ დაამხო მეორე რესპუბლიკა. შეაგდო ქვა და შეუშვირა თავი: ხალხის სამართლიან საჩივარს ყური არ უგდო და ამიტომ ხალხმაც თავი აღარ გამოიდო ბურჟუაზიული რესპუბლიკის დასაცველად. პალატის პრეზიდენტმა არ მოიხსენია ეგრეთვე ბურჟუაზიის დიდი პოლიტიკური შეცდომაც. პრეზიდენტის ამორჩევა მთელ ხალხს მიანდეს. ხალხმაც კიდევ ამ ბურჟუაზიისა და ძველი წესწყობილების მოტრფიალეთა ჩაგონებით ნაპოლეონ III-ე აირჩია პრეზიდენტად და ამ მოღვაწემ, რაკი ესეთი დიდი ძალა ჩაიგდო ხელში, რასაკვირველია, მერე რესპუბლიკის დამხობაც ადვილად მოახერხა. დასასრულ პალატის პრეზიდენტმა სთქვა: თუ მთავრობის სათავეში მოქრთამე, ნამხდარი ზნეობის და გულ-ქვავი კაცები დგანან, ამაზე ცუდი არა არის რა დემოკრატიულ წესებისათვისაო. მე თუ სხვა გამოჩენილი მოღვაწეები—ყველანი მოვალენი ვართ რესპუბლიკის წესები მონარქისტებისა და დემაგოგებისაგან (დემაგოგებად სოციალისტები იგულისხმება) დავიხსნათო. ასე რომ დეშანელმა ყველაფერი ბრალი მუშა ხალხს მოახვია, ბურჟუაზია კი ბრ[illegible] უმწიკვლო და უდანაშაულო გამოიყვანა.

გალდეკ-რუსსომაც ბურჟუაზიისა და მუშა ხალხის ურთიერთობაზე ილაპარაკა და უფრო თავდაჭერითაც ილაპარაკა. როგორც უოველთვის, პირველმა მინისტრმა არც მწვადი დასწვა, არც შამფური. ხომ იცით,—ეს ისეთი კაცია, დიდ ქვაბშიაც არ ეტევა, პატარაშიც ადვილად მოდის. პირველმა მინისტრმა ბურჟუაზიაც გაამტყუნა: სულ თავის ინტერესებს დაჰკანკალებსო, სულ მუშა ხალხის აჯანყება ელანდებაო, სულ რადიკალის ეშინიანო. მუშა ხალხიც ბევრში სტყუისო: მეტად უნდოდ უცქერის ლიბერალური ბურჟუაზიის მოწინავე ნაწილსა და ეს უნდობლობა დიდ ზარალს აძლევს დემოკრატიულ წესებსაო. ორატორი 1848 წლის მოღვაწეებს გამოესარჩლა: ტყუილად უსაყვედურებენ და ათას ბრალს სდებენო. თუ შეცდომები მოუვიდათ, ეს იმით აიხსნება, რომ იდეალისტები იყვნენ და თავიანთ საქმის სიმართლე მტკიცედ სწამდათო; მეორე რესპუბლიკა იმიტომ დაემხო, რომ მაშინდელი ბურჟუაზია თავისი ინტერესის მეტს სხვას არასა ჰფიქრობდა და ძლიერ დიდი მხდალობაც გამოიჩინაო. მუშა ხალხიც ეჭვის თვალით და მტრულად უცქეროდა ბურჟუაზიასაო. ამიტომ ერთი კლასიცა და მეორეც ხელად მოჰყვნენ ბონაპარტეს ბადეშიო. თუ ნაპოლეონმა თავისი სურვილი შეასრულა, ეს უმეტეს ნაწილად ივნისის რევოლუციის (ეს რევოლუცია მუშა ხალხმა მოახდინა) ბრალიაო. რამ გამოიწვია ეს რევოლუცია,—ამაზე კი მოხერხებულმა პირველმა მინისტრმა კრინტიც არ დასძრა. დასასრულ გალდეკ-რუსსომ სთქვა: «ბოდენმა დიდი მისაბაძი მაგალითი გვიჩვენა და იმ დრომ, როდესაც გმირი დეპუტატი ცხოვრობდა და მოქმედებდა,—დიდი გაკვეთილი მოგვცაო».

ამ ორატორების ლაპარაკის დროს, მე ძალაუნებურად ახლო მჯდომარე რადიკალ-სოციალისტს კამილ პელტანს შევხედავდი ხოლმე. უკმაყოფილების ნიშნად პელტანი თავს იქნევდა და, როგორც ეტყობოდა, ძლიერ ნანობდა, რომ არ შეეძლო ტრიბუნაზე ასულიყო და ელაპარაკნა. პელტანი კარგად ახსნიდა, თუ როგორ მოიქცნენ ბურჟუაზიის წარმომადგენლები და რა საძაგელი როლი შეასრულეს მეორე რესპუბლიკისა და ნაპოლეონ III-ს შეთქმულობის დროს; იტყოდა იმასაც, რომ ბურჟუაზიის წარმომადგენლნი მესამე რესპუბლიკის დროსაც ცუდს როლს თამაშობენ და შეიძლება, რომ უარესი საქმეებიც მოახდინონ, თუ სინდისი არ შეუშვეს და თავიანთ წმინდა კლასიურ, მოკლე ჭკუის, სათავისო პოლიტიკაზე ხელი არ აიღეს.

მერე ხომ გეხსომებათ რაც მოხდა. პარიზის საბჭოს თავმჯდომარე ნაციონალისტი დოსე ავიდა ტრიბუნაზე, მაგრამ ხალხმა არც კი ალაპარაკა. დაიწყო თუ არა დოსემ ლაპარაკი, ხალხმა ყვირილი მორთო: «კმარა, კმარა! დაიღუპო დოსე! დაიღუპნენ იეზუიტები!» ზოგიერთნი მივარდნენ, ხელი წაავლეს და ტრიბუნიდან

ფელეტონი

გურული გაზეთი

№ 1

გურული გაზეთი გამოვა მაშინ, როცა გამოვა და მის გამოსვლას არაფერი არ დააბრკოლებს. რედაქცია იმყოფება ყოველგან და არსად. თანამშრომლები არიან: გურულნი რჩეული „ტალიკ-ტალიკი დელიყანდი“ ბიჭები გურიის ყველა სოფლებიდან და კუთხიდან. პროგრამა გაზეთისა—სრული უპროგრამობა და უპრინციპობა იქნება; აგი იმიზა, რომ არე კაცმა ჩვენი გაზეთი არ დაბრაკოს და ყველას მოეწონოს.

გურული გაზეთის დეპეშები

დ. **ხიდისთავი.** გამოძიება ჯერ არ დამთავრებულა. ბევრი ბოროტ-მოქმედება იქმნა აღმოჩენილი: „ბევრი რამე გამონახეს უმსგავსი და საძაგელი, მაგალითად ოთხშაბათ დღეს ვინცხას უჭამია ყველი“.

ს. **დიხაური.** იწვის ილ. თაყაიშვილის ნავთის „ვიშკა“. ზარალი ორას არც-ერთ კაპეიკამდეა.

ს. **სურები.** პრინცი ირაკლი დოლაქიშვილი ჯერ არ დაბრუნებულა, მედიატორეთა განჩინება ჯერ არ გამოცხადებულა.

სად. სუფსა. აქაურ მემამულეთა მამულში ამოხეთქა ნავთის შადრევანმა, რის გამო ნავთის ფასი ძრიელ დაეცა—გირვანქა შაურად იყიდება.

ახალი ამბები

(საკუთარი კორესპონდენტებისაგან)

ქ. ოზურგეთი. რადგან რკინის გზის გაყვანამ დაიგვიანა, გადაწყვეტილია ოზურგეთი შავ-ზღვას შეუერთონ არხით და ამ რიგად ოზურგეთი გაპორტის ქალაქებული იქნება. ნავთ-სადგურის ადგილიც არჩეულია ექადიის გორი, ხოლო თუ ერთი საკმაო არ იქნა, მეორეც მზათ არის ნატანების პირი შავიშვილის წისქვილთან. შენიშვნა: ეს უკანასკნელ იმართება განძრახ სამეურნეო სკოლის მიზეზით, რომ აქედან გატანილი „ნამყენი გვიმრა“ გზაში არ გახმეს. ინიციატივა ეკუთვნის ბ-ნ ძ—ვის.

უკმაკური.

სოფ. ასკანა. ამ დღეებში აქ მოხდა შეერთებული კრება ასკანის შემნახველ გამსესხებელი ამხანაგობისა და ასკანის სამკითხველოს წლიურ წევრთა. კრებას დიდძალი საზოგადოება დაესწრო. კრების განსახილველი საგანი იყო ბ.ბ. ს. ქეიშვილის და მ. ნინიძის საქმე, რომელი მართალია და რომელი მტყუანი, (რას ედავებიან ერთმანეთს, ეს კრებას არ მოხსენდა—„სეკრეტიაო“). თავმჯდომარეთ ხმის უმეტესობით არჩეულ იქმნა ბ. ს. ქეიშვილი, მდივნად ბ. მ. ნინიძე (მონი), ორთავემ გრძელი სიტყვით მიმართა საზოგადოებას და ითხოვეს ორი ყუთი დაედგათ, რაიცა სიამოვნებით მიღებულ იქმნა. ბ. ს. ქ—მა მიიღო ორი თეთრი და ორი შავი, ხოლო ბ. მ. ნ—ძემ ორი შავი და ორი თეთრი. კრება დიდათ ნასიამოვნები დაიშალა, რადგან ორივე მომადრიელებულ-გამართლებულ იქმნენ და ამრიგად არც ერთს არ გადახდება ასი მანეთი ჯარიმა (იხ. „კვალის“ №-ბი). ვინც გამოიცნობს კრებას რავდენი წევრი დაესწრო (იქონიეთ სახეში, რომ წევრს ერთი ხმა ვექილობითაც ეძლევა წესდების ძალით) ჯილდოთ მიიღებს ერთ ოყა ქაფშიას.

კვიმატი.

P.S. იქიდანვე. აქ არსდება ბ-ნ ს. ქეიშვილის მეთაურობით სამარხი კასსა. ნამდვილ წევრად უკვე ჩაეწერნენ: გურიის სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობა „შუამავალი“, ასკანის და აკეთის სამკითხველოს წევრნი, „შრომა და კაპიტალი“. სურვილი აქვთ განცხადებული: ოზურგეთის ახალ თეატრს, ხიდისთავის „ათ-შაურიან“ ამხანაგობას და ერთ სადათვიელ „ჯოროხანს“.

ოზურგეთი. აქ ხმა გავრცელდა, რადგან იხლა „ივერია“ უკვე სრულ წლოვანია (25 წელში გადადგა) თხოვდებაო. ქორწილში მისაპატიჟებელი ბარათებიც უკვე მზად არის აკაკის რედაქციით. მისალოცავი განსაზღვრულია—კაკალი ერთი თუმანი. მეფის გვარი ჯერ უცნობია, მაგრამ დაბეჯითებით ამბობენ დიდი ჩინოვნიკია. აგრეთვე დასძენენ: პატარძალ „ივერიას“ თურმე თან მიჰყვება 25 წლის „ივერიის“ ყალბი ადგილები, რომელსაც თურმე მისალოცავის მაგივრად უძღვნის ბ. ალ. სარ—ლი.

ავ-ყია.

დ. ხიდისთავი. ამ დღეებში აქედან წავიდა ჩვენში კარგად ცნობილი საზოგადო მოღვაწე ბ. ბარბალესძე. მისმა წასვლამ ყველას გული დაგვიღონა. წასვლის წინად გარდაქეშან მწერლის მეთაურობით სად[illegible] გაუმართეთ ჩვენს ახალგაზრდა მოღვაწეს. დ. ხიდისთავის მოვაჭრეთ გზის ფულიც კი „მოუხიკეს“. როგორც სარწმუნოდ ვიცით, საზოგადოებას მაზე დანახარჯი არ დაეკარგება, რადგან ბ. ბარბალესძეს თურმე ტფილისში დიდებული ადგილი მიუღია. ამას თვითონ იტყობინება თურმე ასე: «ჩემი მოსვლის დღე ტფილისში სადღესასწაულო დღეა. Со всѣхъ сторонъ предлагаютъ мѣста: „Цнобисъ-Пурцели“ быть корреспондентомъ и сотрудникомъ, „Квали“—завѣдывать хозяйственной частью, მაგრამ ჯამაგირი ყოველგან ცოტაა. რას ვიზამ,

გადმოითრიეს. პოლიცია მიეშველა დოსეს და რის ვაი გაგლახით ეტლში ჩასო. გაგულისებული ხალხი ეტლამდე მიჰყვა და ასე ამბობდა: «მოაფურთხეთ დოსეს! დაიღუპნენ იეზუიტები!?.

ავსტრ უნგრეთი. თუ გერმანელი შოვინისტები პოლონელებს სდევნიან, პოლონელი შოვინისტები კიდევ რუსინ ხალხს არ აძლევენ მოსვენებას. რუსინები, ირლანდიელებივით და ბურებივით, სულ გლეხი ხალხი არიან და პოლონელი მებატონეებისგან საქმე აქვთ გაჭირვებული. გალიციის მთავრობა და პოლიციაც (სულ პოლონელები არიან) ცუდ დღეს აყენებს თურმე რუსინების პატარა ერსა. ერთის სიტყვით, პოლონელ თავად-აზნაურობას რუსინები ეკონომიურად თუ პოლიტიკურად დამონავებული ჰყავს. რუსინები მედგრად ებრძვიან პოლონელ თავად-აზნაურობას და ბევრი თავიანთი სურვილი შეისრულეს კიდეც, მაგრამ უფრო მეტი შეუსრულებელი აქვთ. რუსინები თხოულობენ მაგალითად, რომ ლვოვის უნივერსიტეტში ყველა საგნები პოლონური ენის გარდა რუსინულ ენაზედაც ისწავლებოდეს (ზოგიერთ საგანს ეხლაც ამ ენაზე გადიან), მაგრამ პოლონელმა შოვინისტებმა ზედაც არ შეხედეს რუსინებს და ამ თხოვნაზე უარი უთხრეს. ამაზე რუსინმა სტუდენტებმა დიდი მანიფესტაციები მოახდინეს ლვოვის უნივერსიტეტში და გალიციის მთავრობას ბეჯითი პროტესტი გამოუცხადეს. მთავრობამ ლვოვის უნივერსიტეტი დროებით დახურა და 600 სტუდენტი რუსინი შინ დაითხოვა. ამ საქმემაც დიდი აყალ-მაყალი ასტეხა მთელ ევროპაში. ყველანი, ვინც კი ძალ-მომრეობისა და შოვინიზმის მტერია, თანაგრძნობას უცხადებდნენ რუსინ-სტუდენტებს და ფულსაც უგროვებდნენ. პოლონელი დემოკრატიაც გულ-წრფელად გამოესარჩლა რუსინების ერს და თავიანთ შოვინისტების ქცევას ზიზღით იხსენიებდა. ლვოვის უნივერსიტეტში მოსწავლე პოლონელი სტუდენტები მომეტებულ ნაწილად რუსინ სტუდენტებს მტრობით უყურებდნენ და მანიფესტაციების დროს მთავრობის მხარე ეჭირათ. სამაგიეროდ კრაკოვის უნივერსიტეტის პოლონელმა სტუდენტებმა გულ-წრფელი თანაგრძნობა გამოუცხადეს რუსინ სტუდენტებს; თანაც გამოაცხადეს: რუსინების თხოვნა სამართლიანი თხოვნაა და უსათუოდ უნდა დაკმაყოფილდესო. ჩვენ, პოლონელ სტუდენტებს, პირიქით, უნდა გვიხაროდეს, რომ რუსინებმა გაიღვიძეს და თავიანთ კანონიერ უფლება შეიგნესო. რომელიმე ერის წინწასვლა და წარმატება ყველასათვის გასახარი უნდა იყოს და არა საწყენიო. ერთის სიტყვით, ეხლანდელი დემოკრატია ყოველ ქვეყანაში ყველგან წინააღმდეგია ძალ-მომრეობისა და დევნისა და ყველგან ძმობას და სიყვარულს ქადაგებს. როგორც გერმანელ დემოკრატიას არ მოეწონა თავიანთ მთავრობის ცუდი ქცევა და დაჩაგრულ პოლონელებს გამოესარჩლა, ისე პოლონელ დემოკრატიასაც გული აერია გალიციის მთავრობის ქცევაზე და რუსინ-სტუდენტებს მიემხრო.

როგორც გაზეთები იუწყებიან, ლვოვის უნივერსიტეტში ეხლა ისევ დაუწყიათ სწავლა, თუმცა კი რუსინების თხოვნა ჯერ დაკმაყოფილებული არაა.

✡ რაკი რუსინები სულ გლეხი ხალხი არიან, ამიტომ, რასაკვირველია, თითონ ეს გარემოება ძალა-უნებურად დემოკრატიულ გზაზე აყენებს ყოველ შეგნებულ რუსინს. გონება-განვითარებული რუსინები მომეტებულ ნაწილად რადიკალურ აზრების მიმდევარნი არიან. გაზეთები იუწყებიან: რუსინების რადიკალურმა დასმა 3 დეკემბერს ლვოვში კრება მოახდინა. კრებამ დაადგინა: ჩვენ ხალხში რადიკალური აზრების პროპაგანდა გავაძლიეროთ და ვეცადნეთ, რომ სოციალ-დემოკრატების დასთან შეთანხმება ჩამოვაგდოთო. ამას გარდა კრებამ დაადგინა: რუსინებისათვის ცალკე უნივერსიტეტი გაიხსნასო, ვეცადნეთ ტყე და საძოვარი მინდორი სოფელს არას დროს არ ერთმეოდესო და დასასრულ სოფლის ხალხი მოვამზადოთ, რომ სადაც კი გალიციაში მცირე სამუშაო ქირა იქნება, მკის დროს დონე რამ გიღონოთ და ეს ფასი მოვამატებინოთო.

ახალი ამბავი

◆ მოვაგონებთ მკითხველთ, რომ დღეს, 22 დეკემბერს ტფილისის საკრებულოს დარბაზში გაიმართება **კონცერტი**, რომლის შემოსავალი გადადებულია ქართვ. შორის წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ.

◆ რადგანაც ქალაქში ახალ აფთიაქებს ხსნიან, ამის გამო საექიმო გამგეობა შეეკითხა აფთიაქების პატრონებს და სთხოვა, რომ უჩვენოს ის ადგილები ქალაქში, სადაც უფრო საჭიროა **აფთიაქების გახსნა**. ამაზედ აფთიაქების პატრონებმა უპასუხეს, რომ ისინი შესაძლებლად სცნობენ, ხუთ ალაგას გაიხსნას ქალაქში აფთიაქები: დიდუბეში, წყნეთის ქუჩაზედ, ავლაბარში, სიონის სობოროსთან და ქალაქის განაპირა ნაძალადევს ახლო. როგორც გადმოგვცეს, ამის შესახებ მოხსენებას წარუდგენენ საგუბერნიო მმართველობას, მხოლოდ სახეში აქვთ, ხუთის კი არა, სამი აფთიაქის გახსნა იმ ადგილებში, სადაც უფრო მომეტებული მოსახლეობა არის, რომელნიც საჭიროებენ წამლებით დახმარებას.

◆ 20 დეკემბერს, დანიშნული იყო **საგანგებო საზოგადო კრება** ტფილისის ნოქართა ურთიერთ დახმარების საზოგადოების წევრთა. წესდების ძალით, ეს კრებები კანონიერია მაშინ, როდესაც მასში მთელი წევრების ნახევარი რიცხვი იღებს მონაწილეობას. ნოქართა საზოგადოებაში 140 წევრია და კრება არ შესდგა, რადგან მარტო 40 წევრი გამოცხადდა. კრება უკანონოდ იცნეს და გადასდეს.

◆ ერევნის რკინის გზის შტო **პირველ მკათათვიდან** მომავალის წლისა გადავა საწარმოებლად ამიერ კავკასიის რკინის გზის გამგებლობაში.

◆ 20 დეკემბერს უეცრივ **გარდაიცვალა** ბორჩალოს მაზრის უფროსი ბ. კოტოვიჩი, 50 წლისა. განსვენებულს, ვინც კი იცნობდა, კეთილს და პატიოსან კაცად აღიარებენ. სოფლის მცხოვრებლები ძალიან ემადლიერებიან სიმართლის მოყვარეობისათვის.

◆ ტფილისის ქალების პირველ გიმნაზიაში გაიხსნა **ერთი სტიპენდია** ქალაქისა. ამ სტიპენდიაზე კანდიდატებად არიან 30 ბავშვი. გარდა ამისა, ქალაქის გამგეობაში მრავალი თხოვნები მოდის, რომ ამ სტიპენდიაზე ჩარიცხონ ეს თუ ის ბავშვი.

◆ ქალაქის სასანიტარო-საექიმო საბჭომ შეიმუშავა დადგენილება **ერთის კრაოტის და ორი სტიპენდიის** შესახებ ტფილისის საბებიო ინსტიტუტში დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის სახელობაზე დაარსებული, 50 წლის მისი უმაღლესობის სახელმწიფო მოღვაწეობის აღსანიშნავად. თანახმად დადგენილებისა, კრაოტი დანიშნულია იმ ღარიბ ავადმყოფ ქალისთვის, რომელიც საჭიროებს ოპერაციის გაკეთებას; ხოლო სტიპენდიებზე ინიშნებიან ქალაქის გამგეობისაგან ის ქალები, რომლებიც მათი მასწავლებლების წარმოდგენით კარგად სწავლობენ და კლასიდან კლასში გადადიან.

◆ ტფილისის სახალხო კითხვების კომისიამ მიმართა ქალაქის სამასწავლებლო კომისიას, რათა მან ნება მისცეს, რომ ჩუღურეთის საქალაქო სკოლის დარბაზში გამართონ ხოლმე **საკვირაო კითხვები**.

◆ ქ. ივანიცკისამ მიმართა ქალაქს თხოვნით, რომ შემწეობა აღმოუჩინონ მას, რადგანაც ის აპირებს **სამზარეულო კურსების** გახსნას. ქალაქის გამგეობამ დაავალა ბ. ალიხანოვს, რომ მან შეკრიბოს ცნობები ქალაქში არსებულს ამისთანა კურსებზე და წარმოადგინოს ხარჯთ-აღრიცხვა, რა დაჯდება ამისთანა კურსების გახსნა და შენახვა.

◆ რადგანაც ორშაბათი შობის წინადღეა, ამიტომ **ტფ. საქალაქო საბჭოს მორიგი კრება** დღეს, 22 დეკემბერს, მოხდება. განსახილველად დანიშნულია სამი საქმე, რომელთა გარჩევა წარსულ კრებაზე ვერ მოასწრეს.

◆ 19 დეკემბერს ტფილისის საგუბერნიო საპყრობილეში სულ იყვნენ ტუსაღები: კაცი 460, ქალი 37, სულ—497, ამათგან საავადმყოფოში იყო 59 კაცი და 8 ქალი.

ამავე რიცხვს მეტეხის ციხეში იყვნენ: კაცი 364 ტუსაღი, ქალი 9, სულ 373; ამათგან საავადმყოფოში 96 კაცი და 7 ქალი („კავკ".).

◆ 17 დეკემბერს კავკავის რკინის გზაზედ მოხდა ერთი არა ჩვეულებრივი **ბოროტ-მოქმედება**: სადგურ „ტიხორეცკის" ახლო პირველი კლასის კუპეში ვიღასაც დაუხრჩვია სამთო ინსტიტუტის სტუდენტი ბ. ნარუშევიჩი, რომელიც ეკატერინოსლავიდან მიდიოდა ბესლანში თავისს მშობლებთან საშობაოდ. როდესაც ამ ყმაწვილი კაცის გვამი ნახეს, იგი სულ გაციებული იყო და ყელზედ თოკი ჰქონდა. ბოროტმოქმედება რაღაც საიდუმლოებით არის მოცული, რადგანაც საფიქრებელი არ არი, რომ გაცარცვისათვის იყოს მოკლული.

◆ ბორჩალოს მაზრის ზოგიერთ სოფლებში ამ თვის 8-დან 16-ამდე **ქუნთრუშით** გამხდარა ავად 29 ყმაწვილი, მათ შორის მორჩენილა 10, 3 გარდაცვლილა დანარჩენიც მორჩენაზე არიან.

ტფილისის მაზრაში ამავე ავადმყოფობით გამხდარან ავად 13 ყმაწვილი, მათ შორის ორი მორჩენილა, ორი გარდაცვლილა დანარჩენიც მორჩენაზე არიან.

◆ დუშეთის მაზრის სოფელ ხორხეში, როგორც იტყობინება მაზრის უფროსი, გაჩენილა **ხუნაგი**, რომლითაც გამხდარან ავად 27 კაცი; მათ შორის 9 კიდეც გარდაცვლილა.

◆ გორის მაზრის სოფელ ზემო ხანდაკში გაჩენილა **წითელა**; გამხდარან ავათ 30, მათ შორის ოთხი გარდაცვლილა.

◆ რადგანაც ხშირად იპარვენ ტფილისის რკინის გზის სადგურზედ სხვა-და-სხვა სპილენძის ნაწილებს საქონლის ვაგონებიდან, ამისთვის რკინის გზების უფროსმა ბ. ვედენეევმა მიმართა ტფილისის სადგურის მოხელეებს და ჟანდარმის სამმართველოს თხოვნით, რომ გამოუცხადონ თავიანთ ხელქვეით მოსამსახურეთ, რომ, თუ ვინმე დაიჭერს ქურდებს ანუ ნამდვილი საბუთებით დაუმტკიცებს ვისმე ნივთების მოპარვას, იმას მიეცემა **ჯილდოდ** ოცი მანეთიდან დაწყებული და მეტიც, იმის მიხედვით, თუ რა გარემოებაში არის საქმე („კავკ".).

◆ ტფილისის პოლიცმეისტერმა სთხოვა ქალაქს, რომ დაათვალიერონ **ბოქანი** მუხრანიანთ ხიდთან.

◆ ამ დღეებში მოხდა ვაჭრობა სახაიე შენობის გაცემისა **იჯარით** ქალაქის საყასბოებზე. ყველაზე მეტი ფასი შეაძლია ტერ-ოგანეზოვმა—258 მან. გამგეობამ გადასწყვიტა, გარდასცეს იმას სახაიე ერთის წლით.

ქუთაისის ახალი ამბები

∽ **ქუთაისის საქალაქო საბჭოს** უკანასკნელი სხდომა ამ წელიწადში მოხდა ორშაბათს, 17 დეკემბერს. საბჭომ განიხილა რამდენიმე წვრილმანი საქმე. უმეტესი კამათი გამოიწვია ადვოკატების ქუჩის სახლის პატრონთა თხოვნამ და ქუთაისის მეეტლეთა შუამდგომლობამ. ხსენე-

---

ამას შემდეგში გაცნობებთ, მხოლოდ ხომ იცით, მე გამდიდრება მინდა და ვინ იცის სად წავა. ბ—სა.

ეს ამბავი მთელ გურიას მოედო, გადადის «ვით მარგალიტი ობოლი ხელი ხელ საგოგმანები".

სიძე.

წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო გურული გაზეთის ლედახტორო. სწორეფ ძალიანი გამიხარდა რომ შენ გურული დროება დაგიბეჭდავს—კეკალი გუნებით ღმერთს ვსთხოვ შენს სიცოცხლეს და ყორიფელ კას მაგიზა. ვითამ ჩვენ რა ვართ? ვინცხა ვინცხას თუ აქ მისი გაზეთი, რა, ჩვენ გურულები არ ვართ მაგის ღრისი თუ?! რავაც წამიკითხავს და გამიგონია, თურმე ჩვენს გურიაში სალდება ყველაზე მეტი წიგნიც და გაზეთიც. ახლა, რასაკვირელია, ჩვენებურა, გურულა, რომ იქნება, ყველას გვიამება და ყველა წევიკითხავთ. ხან-და-ხან მეც ქე დავჩხიბავ რაცხას შით და გულს მევიოხებ. ერთ ხანს ქე ვწერდი რაცხას „ცნობის ფურცელში" მარა ქე დავეთხუე მერე, ლედახტორმა რომ მომწერა—ესიკელა სუტენტო, შენი წერილი მე ქე გუუშვი, მარა ცენზორმა დეიჭირაო. რაფერ დეიჭირა, ახლაც აფერი არ ვიცი. რაცხა თიფლისში დიდი ეშმაკობა ცოდნიათ. ჩემი წიგნიზა ფეხები ღ ფრთაი გამუუბვან—გუუქცევიან ღ მერე დუუჭირავენ. ახლა, ჩემო ბატონო ლედახტორო, ჯერ-ჯერობით გიგზავნი ერთ დაბეჭდილ ქორწილის წიგნს და გთხოვ შენს გაზეთში დაბეჭდო, რომ ქვეყანამ გეიგოს, რომ ჩვენ, გურულებმა ქორწილის წიგნიც ლექსათ ვიცით. კაი სამი ტლიკვი მანათი უნდა მისალოცავი, მარა ფარას ვინ ჩივა, წავხდი, იმისთანა კაი გამოკვარაჭინებული ლექსია, რომ მაგის გამომთქმელს ხელები უნდა მოუჭედო.

მოწყალენო ხელმწიფენო,
ნათესავნო მეგობარნო,
იუწყებდით ჩემს ვედრებას,
ყოვლითა გთხოვთ გამახარო.
ამ ხანად მაქვს ქორწინება,
ამხანაგი მომყავს, ძმანო,
იგი არა მწამს არაფრად,
ვისაც ვსთხოვ და არ დამესწრა,
ლამაზ და ტურფა ტაძარში
ოზურგეთში გიწვევ თქვენცა,
სად ბულბული მუდამ გალობს,
სადაც წყალი ჩანჩქარებსა,
მზის სხივებზე ბროლის მსგავსი
ყოველ დღითი ელვარებსა;
ოც-და-შვიდ, კვირას, მაისში
ჯვარს დავიწერ ოზურგეთში,
რვა საათზე ნაშუადღევის
უნდა დარჩეთ ჩემს სახლებში,
ქუთაისის ულიცაზე,
რომელიც სდგას მწვანე ველზე.
იქნებ გსურდეთ რომ იცოდეთ
სახელი პატარ-ძალისა,
კასინე კვირკველიასი,
კეთილ შობილი გვარისა,
იგია ჩემი სიცოცხლე
ნაყოფი ღვთის და ჯვარისა;
მხოლოდ მსურს ღმერთმა, რომ თავი
თქვენი ქორწილში მაღირსა.

დავშთები თქვენგან დავალებული სამკვდრო
სასიცოცხლოთ გოგიტა სკანკოჩაიშვილი.

ესიკელაი სუტენტი.

დაგვიანებული ამბები.

ოზურგეთი. ოზურგეთის ქალაქის თავის მოადგილემ ბათუმის ქალაქის თავობაზე კატეგორიული უარი განაცხადა.

ლანჩხუთი. სამკითხველოს შენობა უკვე დასრულდა, მხოლოდ არ იციან, სად დადგან. არჩეულია კომისია ხუთი კაცისაგან, რომელთაც უჩვენეს ექვსი ადგილი სამკითხველოს დასადგმელად.

სად. სუფსა. ერთი აქაური დიდი მემამულის მამული დარჩა ვიღაც ბალდასარს. თუმც გურულებმა 1500 მან. მეტი აძლიეს, მაგრამ მათმა ბრწყინვალებამ არ ინება —რადგან ბალდასარები აქ მეტს კულტურას შემოიტანენო.

განცხადებანი

1) კ. ჩ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში იბეჭდება ღ მალე გამოვა გასასყიდად: „ქორწინებანი" ლექსათ ნოტებზე გადაღებული გურული ცნობილი კომპოზიტორ-პოეტის კნ. მ. ნ—შიძის მიერ. ვინც იყიდის ათ ცალს, ქორწილში მისალოცავი არსად არ დასჭირდება.

2) ამავე მაღაზიაში დაიბეჭდა ღ დაურიგდა უფასოთ გურიის სვაჭრო-სამრეწველო ამხანაგობის „შუამავალის" გამგეობის მიერ შედგენილი მეცნიერული გამოკვლევა იმისი, თუ აბრეშუმის ხმელი პარკი ზღვაში რათ კლებულობს.

3) 32 დეკემბერს ოზურგეთის ახალ თეატრში (ბულვარის ქუჩა) ქართული სცენის არტისტის ვ. ურუშაძის რეჟისორობით წარმოდგენილი იქნება—ბ-ნ ხურციძის საბენეფისოთ „ჰამლეტი". ფასები დაკლებულია—ცემა ტყეპა უფასოა.

რედაქციისაგან

გურული გაზეთის რედაქციისათვის საჭიროა: ზარბაზანი, ფიშტო, თოფი, ლივერი, სატევარი, ლეკური და სხვა საჩხუბარი იარაღები. ვინც გამოგვიგზავნის, ფასს გარდამ იიღებს ჩვენი ნომრის თითო ცალს. ამ ნომრისთვის დამზადებული ფელეტონი „ნიკოლა შვა ყადი" ვერ გამოდის. მომავალ ნომერში დაიბეჭდება ლექცია მონის: „ყმაწვილის მუცელში ფაქიზათ შენახვაზე"

დროებითი რედაქტორი ელიზა ბრეგვაძე.

ბულ ქუჩის სახლის პატრონები აცხადებდნენ, რომ ვერ იკისრებენ თავიანთ ხარჯით ქუჩის მოწყობა-შენახვას, რადგან ეს ქუჩა დანიშნულია ურმების დასადგომ ადგილად და მცხოვრებნი ვერც სარგებლობენ ამ ქუჩით. დიდი ხნის კამათის შემდეგ, საბჭომ დაადგინა შეიწყნაროს ეს თხოვნა. მეეტლეები შუამდგომლობდნენ ნიხრის მომატებას გამგეობის მოხსენებით ქუთაისის მეეტლეები ნიხრის მხრით უკეთეს პირობებში არიან, ვიდრე კავკასიის სხვა ქალაქებში, როგორც, მაგალითად, კავკასუს და ბაქოში. ამიტომ საბჭომ ხმის უმეტესობით უარჰყო მეეტლეების შუამდგომლობა ნიხრის მომატებაზე და აგრეთვე ქალაქ გარეთ ადგილებში წასვლელ ნიხრის მოსპობაზე. საბჭომ უარი უთხრა აგრეთვე ქუთაისის პოლიცმეისტერს ბ. დისოვსკის, რომელიც თხოულობდა თავის თანაშემწის, ტატიშჩენკოს, ჯამაგირის მომატებას; ხოლო შეიწყნარა მეორე მისი თხოვნა შესახებ ბოქაულთა კანცელარიების მოსაწყობად შემწეობის აღმოჩენისა; შემწეობად გადაიდო 200 მანეთი.

〰 ქუთაისის სავაჟო გიმნაზიის დირექტორი ბ. ჩებიშა, როგორც გადმოგვცეს, თავს ანებებს მის თანამდებობას.

〰 ჩვენი ქალაქი ყოველისფრით ჩამორჩენილია არამც თუ სხვა საგუბერნიო—სამაზრო ქალაქებზედაც კი: დღემდე ქალაქს არა აქვს რიგიანად მოწყობილი საბაზრო,—საიარმუკო ადგილი, სადაც გამოც მოქალაქეები და სოფლელები უკიდურეს მდგომარეობაში არიან ჩავარდნილნი. სხვა და სხვა სანოვაგის ყიდვა-გაყიდვის საქმე ქალაქის შუაგულ ქუჩებზეა მოთავსებული, ასე რომ ამ ქუჩებზე გავლა-ნამეტურ დღესასწაულების წინა დღეებში, ყოვლად შეუძლებელია. დიდი თავგანწირულებაა აქ გავლა — ან ურემი გაგჭყლიტავს ან და ვინმე ცხენოსანი გადაგაჯირკვალებს. ის რამდენიმე კვად. საჟენი ალაგი, ქალაქის სასწორებთან და მეწვანილეების ბაზარში რომ აქვს ქალაქს, მუდამ დაკავებულია სხვა-და-სხვა სანოვაგეს გამყიდველ ჩარჩებით, სოფლელები კი იძულებულნი არიან შუა ქუჩებზე დააწყონ თავიანთი ნაწარმოებია ან და ხელით უნდა ატარონ მთელ ქალაქში. იმედი გვაქვს, ჩვენი ახალი გამგეობა ამ ფრიად საჭირო საქმეს ჯეროვნად მოაწესრიგებს მომავალში, მით უმეტეს, რომ სოფლელებს ადგილის დაჭერაში ზოგიერთ ნაწარმოებზე ფული ხდებათ.

პრესსა

„ივერია“-მ იწყინა ჩვენი შენიშვნა კ. მაყაშვილის „სატირის“ დაბეჭვდის შესახებ და ცდილობს თავი გაიმართლოს. როგორც მოსალოდნელი იყო, გაზეთმა სიტყვა ბანზე აგდო და გვარწმუნებს—კ. მაყაშვილის სცენა პასკვილი არ არისო, რადგან «მისი-მომქმედი, ზოგს ერთი ჰგონია და ზოგს მეორეო». ამგვარი თავის მართლება ცოტა არ იყოს ამსუბუქებს „ივერიის“ დანაშაულს, რადგან, ცხადია, მას სასირცხოდ მიუჩნევია პასკვილის დაბეჭდვა და ეხლა იმის ცდაშილაა—დაარწმუნოს მკითხველები, ვითომ ვერ გაიგო, რომ მას პასკვილი მოუტანეს დასაბეჭდათ. მაგრამ რამდენად მოახერხებს მკითხველთა ამაში დარწმუნებას, ეს სულ სხვა საქმეა. ვინც ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას თვალ-ყურს ადევნებს, ვინც ჩვენს მოღვაწეებს იცნობს, იმისთვის ცხადია, რომ გაზეთს განზრახ დაუბრმავებია თვალები. ბიბლიოთეკის დაარსების ამბავი და მომქმედ პირთა გარეგანი თვისება ისეა აღწერილი მაყაშვილის შეუწყნარებელ სცენებში, რომ ყველასათვის ცხადია—რა ამბავი და ვინ არის შიგ აწერილი. ამით აიხსნება სწორედ ის საერთო უკმაყოფილება, რომელსაც საზოგადოებაში აცხადებენ „ივერიის“ ვითომდა სატირის წინაამდეგ...

შემდეგ გაზეთი სწვდება „მოამბეს“ და ამბობს—იქაც დაიბეჭდა ამგვარი თხზულებაო. ეს გარემოება, ჯერ ერთი, „ივერიის“ სრულიად არ ამართლებს; მეორე კი—საჭიროდ ვთვლით ვისარგებლოთ შემთხვევით და აღვიაროთ შემდეგი: მართლაც, ამას წინად რედაქციამ მიიღო ხელთნაწერი ერთის ცნობილისა და უკვე სახელგაკეთებულის ბელეტრისტისა. რედაქციამ არც კი წაიკითხა მისი ნაწარმოები და ისე დაბეჭდა, რადგან ავტორი ისეთი ცნობილია ჩვენ ლიტერატურაში, რომ თვითონვე უნდა აგოს პასუხი თავის ნაწარმოებზე და რადგან რედაქციას ფიქრადაც არ მოუვიდოდა, რომ ის ავტორი დაიმცირებს თავს ვისიმე „პორტრეტის“ აღწერით. რედაქცია შეცდა უნებლიეთ და ეს შეცდომა კიდეც გაასწორა იმით მაინც, რომ გაზეთ „ცნ. ფურცელში“ ერთ-ერთ კრიტიკულ წერილში აღნიშნა ხსენებულ ავტორის შეუწყნარებელი საქციელი. რედაქციას „ივერიასავით“ არ უგდია სიტყვა ბანზე და იეზუიტური ხერხი არ უხმარია თავის გასამართლებლად.

თეატრი

ქართული თეატრი

„პედაგოგები“ კომედია ოტტო ერნსტისა და „თაიგული“ კომედია 1 მოქ.

კიდევ ერთი კარგი პიესა და კიდევ ერთი კარგი წარმოდგენა. ოტტო ერნსტის აუღია თავის კომედიის საგნად და კარგადაც დაუხასიეთებია იგი. სკოლის დირექტორი ფლაქსმანი რომ ყალბის მქნელი და სრულებით უვიცი გამომდგარა, ეს სრულებით შემთხვევითი მოვლენაა, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს პიესის შინაარსთან და მის მსვლელობასთან. იგი კიდეც ხელსაც უშლის ამ მსვლელობას: ჩვეულებრივი მაყურებელი ვერც კი მიხვდება ამის გამო პიესის დედა-აზრს: სასწავლებლებისა და სკოლის მდგომარეობის სიცუდეს დააბრალებს იმას, რომ ფლაქსმანი ყალბის მქნელი, გარყვნილი და უვიცი იყო. პიესის აზრის მეტის სიცხადისათვის უკეთესი იქმნებოდა, რომ ფლაქსმანი ნამდვილ დიპლომიანი ყოფილიყო.

ერნსტის კომედიის მასწავლებელნი ღვიძლი შვილებია ზემო აღნიშნულ წესისა—მონურ მორჩილებაში ხანგრძლივმა სამსახურმა თითქმის ყველა მათგანი გარყვნა, თუ აკეთებენ რასმე, მექანიურად და სკოლა დამდგარ ტბას დაემზგავსა, ტბას, სადაც სული ეხუთებათ ბავშვებსა და იმ მასწავლებელთ, რომელთაც ჯერ კიდევ შერჩათ ცოცხალ ადამიანის ნიშან-წყალი.

ჩვენმა არტისტებმა, მათდა სასახელოდ, მშვენივრად წარმოგვიდგინეს ეს წრე. პირველი მოქმედება ცოტა უფერულად და უსიცოცხლოდ ჩაატარეს, მაგრამ დანარჩენ ორი მოქმედების ასრულება კი უნაკლულო იყო. მშვენიერი ფლაქსმანი იყო ბ. გედევანოვი, სწორედ ნამდვილ ტიპებს წარმოადგენდნენ გამყრელიძე, სვიმონიძე, იმედაშვილი, აწყურელი, ჩერქეზიშვილისა, განსაკუთრებით ეს ორნი შათირიშვილი კეთილშობილურად ასრულებდა კეთილშობილ ფლემინგის როლს. ცოცხლად თამაშობდა ტასო აბაშიძე ცქრიალა ლიზა ჰოლმის როლს. გუნიამ სინამდვილით დაგვიხატა მკაცრი, მაგრამ სამართლიანი და გონიერი ინსპექტორი პრელი.

«თაიგული» მხიარული ვოდევილია და მხიარულადაც შეასრულეს, მხოლოდ ცოტა როლის უცოდინრობა უშლიდა ხელს პიესის სრულის სიმწყობრით ჩატარებას.

რეცენზენტი.

სამეურნეო კურსები ქალაქ ტფილისში

ფინლანდიაში ძალიან არის გავრცელებული მოკლე ვადიანი კურსები მეურნეობის ყოველ გვარ დარგისა. მოისურვა იქ ყმაწვილკაცმა, ვსთქვათ, შეისწავლოს მეფუტკრეობა, წავა ასეთ კურსებზე, ისწავლის იქ რამდენსამე თვეს და გამოვა ნამდვილი მცოდნე თავისის საქმისა! ასევეა იქ მოწყობილი მეურნეობის სხვა დარგთა შესწავლაც. ამ კურსებმა უკვე დიდი ხანია დაუფასებელი სამსახური დასდეს სამშობლო მეურნეობის აღორძინების საქმეს და ცნობილი არიან მთელს ქვეყანაზე, ვითარცა დიდად სასარგებლო და ხალხის ყველა ნაწილისათვის ხელ-მისაწდომი დაწესებულება.

დღეს ასეთსავე მოკლე ვადიან კურსებს (რვა-თვიანს—15 მარტიდან 15 ნოემბრამდის), ბ-ნ მიწად-მოქმედების მინისტრის ნება-რთვით, ვხსნით ჩვენ ქ. ტფილისში, სადაც სპეციალ-მასწავლებლები ასწავლიან მოსწავლეებს გონივრად წარმოებას მებაღეობისას, მევენახეობისას, მებოსტნეობისას და მეფუტკრეობისას.

ჩვენი კურსები განსაკუთრებით სასარგებლონი იქნებიან სასოფლო და სამრევლო სკოლებში სწავლა დამთავრებულთათვის და საზოგადოთ იმ ყმაწვილ კაცებისათვის, რომელთაც სურთ შეისწავლონ მოხსენებული დარგნი მეურნეობისა (უნდა იყვნენ არა ნაკლებ 16 წლისა დაბადებიდან).

სხვა საშუალებათა შორის, რომ გონიერი წარმოება მეურნეობის მოხსენებულ დარგთა რამდენადმე გავრცელდეს ჩვენს ქვეყანაში, ურიგო არ იქნებოდა, რომ ჩვენმა შეძლებულმა მემამულეებმა გამოგზავნონ ჩვენს კურსებზე შინ დარჩენილი ღარიბი ნასწავლი მეზობლები (ადგილობრივი მასწავლებლის ჩვენებით, რომელიც კარგად იცნობს სოფლის მოსწავლე ახალგაზრდობას) მოსამზადებლად. არსებულ კურსების პრაკტიკამ უკვე დაამტკიცა, რომ ასეთ კურსებზე სასწავლებლიდანაც მშვენიერი მებაღენი და მეფუტკრენი გამოდიან. ფასი თავიანთის მამულებისათვის მცოდნე მებაღეთა და მეფუტკრეთა მთელის სწავლისა—80 მანეთია.

ვისაც სურს მიიღოს სრული წესდება და სხვა ცნობები შესახებ ჩვენის კურსებისა, ვსთხოვთ 7 კაპ. მარკა გამოგვიგზავნონ. ტფილისში მცხოვრებთ კი შეუძლიანთ პირადად მოგვმართონ შუა დღის სამ-საათზე.

თხოვნები მოსწავლეთა მიღებაზე და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ, завѣд. сельск.-хоз. курсами Ивану Павловичу Ростомову. давид. площ. № 20).

ვთხოვთ სხვა გაზეთების რედაქციებსაც გადაბეჭდონ ეს წერილი.

ივანე როსტომაშვილი.

პროვინცია

ს. ჯურუყვეთი (გურია). გურია აბა რის გურიაა, თუ ახალ-ახალი და ცხელ-ცხელი ამბები გურიაში ერთი და ორი არ მოხდა. აკაკიმ რომ სთქვა—«არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს და ისევე გაიღვიძებსო», ეს უფრო გურიაზე არის გამოჭრილი, გურიამ ძილი ცოტა იცის, უფრო ხშირად მღვიძარეა და ღვიძილიც ასე უნდა... თავზე დასხმა, კაცის კვლა, რკინის გზებზე ვაგონების გაცარცვა და რა ვიცი ათასი უბედურება. ცხენების ქურდობა ხომ ისეა გახშირებული, რომ სათვალავში მისაღები არც კია. გასულ კვირას ერთ აზნაურს და გლეხს ცხენები მოჰპარეს. აზნაური დადევნებია ცხენის ქურდს და კვალისთვისაც მიუგნია. სუფსის სადგურის მახლობლად დაეწია და ქურდი და ცხენი მოიყვანა სადგურ სუფსაზე. კეთილი კაცების წყალობით მორიგდნენ ქურდი და ცხენის პატრონი; რასაკვირველია, თავისი ცხენი რამოდენიმე ბაჯაღლოების ზედ დადებით ჩაიბარეს აზ.-ს. ეხლა ვიკითხოთ, რა ჰქმნა საწყალმა გლეხმა, იმანაც მიიღო თავისი ცხენი, თუ არა? არა. გურია წრეულ დიდ უბედურ მდგომარეობაში არის ჩავარდნილი; მისი ერთად-ერთი იმედი სიმინდი იყო და ისიც მეტის მეტად ცოტა მოვიდა; ღვინო და ბოსტნეული სახსენებლადაც არაა წვიმების და ათასი ბუნების სტიქიონის მოვლენით მიზეზით. უწინ ამისთანა გაჭირვების დროს ხე ტყეს მიჰმართავდნენ ხოლმე გურულები, დღეს კი ესეც აღარ არის. ჩვენებური თავად-აზნაურობის დაუდევრობით გადაიჩეხა და თითქმის ისპობა; ცოტა თუ იყო დარჩენილი, ისიც ერთის ჩვენის მებატონის წყალობით ბაღდასარმა იყიდა; ეხლა ეს უზბეგი სტუმარიც გვეწვია და ჩვენი ივანიკა და მოსიკელა გურული სახტად დაგვარჩა...

დ. გ—ლი.

ტფილისის სამოსამართლო პალატა

გამგეობის წევრთა გასამართლება.

ბრალდებულის **თავ. ა. მ—მის არღუთინსკი-დოლგორუკოვის** სიტყვა: «გამგეობაში მე შევედი 1897 წელს და პირველ დღიდანვე ჩამაბარეს მეორე განყოფილების მართვა. მოწმების ჩვენებიდან თქვენ იცით, ბ-ნო მსაჯულნო, რომ იმ დროინდელ მეორე განყოფილება იმ საქმეებს აწარმოებდა, რომელიც ეხლა მეორესა და მეოთხე განყოფილებებს აბარია. ისიც იცით, რომ ეხლანდელი მეორე განყოფილებაც ძლივს ასწრებს თავის საქმეების შესრულებას, თუმცა მოსამსახურეთა რიცხვი წინანდელზე ბევრია. ამიტომ ადვილად შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რა განუზომელი შრომა დამედო ჩემის შესვლის პირველ ხანებშივე.

განკიცხულ წლების ჩემი ნამსახურობა ორ ნაწილად განიყოფა: პირველი ძალიან დაწვრილებით გამოიკვლია გამოძიებამ, მეორეს შესახებ-კი გამამტყუნებელ ოქმში ერთი სიტყვაც არ არის გამოყვანილი. ამ მეორე ნაწილის შესახებ რამდენმა მოწმემ დახასიათა აქ ჩვენგან თითოეულის მოღვაწეობა, რადგან ქალაქის საქმეებთან დახლოებულნი იყვნენ და ჩვენს მოქმედებასაც თვალს ადევნებდნენ. ამათი ჩვენება ბ-ნ პროკურორს მშვენიერ დივერტისმენტად მიაჩნია, ასე რომ ვსთქვათ, გამახალისებელ მხარედ იმ ნაწილისა, როცა სასამართლოში გამოძიება ხდებოდა, მაგრამ ჩვენ, ტფილისელები, თუნდაც ტფილისს გარეშეც, ბევრ იმათგანის სახელს, რომელნიც თქვენ წინ მოწმებად წარმოდგნენ,—ღრმა პატივისცემით ვიხსენიებთ.

ბ-ნი პროკურორი ამბობს, რომ ჩვენი მოღვაწეობა მხოლოდ მოხსენებათა წერაში მიდიოდაო, ანუ, იმის სიტყვები რომ ვიხმაროთ, ისეთ სალიტერატურო ნაწარმოებთა წერაში, რომელიც ჩვენ წვრილმან თავმოყვარეობას აკმაყოფილებდაო, მაშინ როდესაც ეს უმნიშვნელო მუშაობა ჩვენ ვითომ სხვა-და-სხვა კომისიებისათვის შეგვეძლო დაგვევალებინა და ჩვენ-კი, ბ-ნ პროკურორის აზრით, უნდა სხვა და უფრო საჭირო საქმე აგველო ხელში.

არ მინდა თქვენი ყურადღება მოვღალო იმის განმეორებით, რაც მეტად საკმაოდ განმარტეს ჩვენმა დამცველებმა, მხოლოდ ერთს მოგახსენებთ: მართალია, ჩვენ ვსწერდით მოხსენებებს, სხვა-და სხვა საკითხებს შევიმუშავებდით ხოლმე და ამ მოხსენებებს თან მოსდევდნენ: ტრამვაის შესახებ ხელშეკრულობა, რომელმაც ქალაქს მილიონები შესძინა, ხელ-შეკრულობა, რომლის წყალობით ქალაქს იოლად შეუძლია ელექტრონის განათება ჰქონდეს, ქალაქის საავადმყოფოს გახსნა, სადეზინფექციო სადგურისა, გიჟებისათვის სახლის აგება, ღარიბთა ღამით თავშესაფარი, ფარულად საქონლის დაკვლის მოსპობა და მრავალი სხვა, რომლის შესახებ აქ სავსებით ილაპარაკეს. თუ სულ ყველა ესენი მცხოვრებთა სასარგებლოდ არ იყო გამოწვეული, არამედ წვრილმან თავმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად სალიტერატურო ნაწარმოებთა წერის ვარჯიშობისათვის, როგორც ბ-ნი პროკურორი ჰფიქრობს, დეე, ამისთანა თავმოყვარეობამ ატაროს კაცი, მაშინ ცხოვრებაც, ალბად, გაუადვილდებათ.

ჩვენ გვეუბნებიან, რომ ტყუილად გვიშრომია ამდენი, იმას კომისიებიც გააკეთებდნენო, მაგრამ ქალაქის დებულების მე-104 მუხლის ძალით ამ კომისიებში თავმჯდომარეობა გამგეობის წევრისათვის სავალდებულოა. რა თქმა უნდა, ყოველივე, რაც-კი გასაკეთებელი და სამუშაოა, გამგეობის წევრმა უნდა შეასრულოს, რადგან ხმოსნებს თავის საკუთარი საქმე აქვსთ და ქალაქის საქმეებს მხოლოდ თავისუფალ დროს თუ მოანდომებენ.

ქალაქის საქმეები მეტად რთულია და ცოცხალი, არავითარს წინადვე გამოზომილსა და შემოზღუდულს ფარგალში არ შეიძლება ამათი მოთავსება. არც ერთ ქალაქის მოღვაწეს არ შეუძლია დარწმუნებით სთქვას, რომ ამა-და ამ დროს ამა-და ამ საქმეს ავასრულებო, რადგან მიმდინარე ცხოვრება თავისას თხოულობს და ხშირად დაწყებულ საქმესაც ხელიდან გაცლის“.

მერე თავ. არღუთინსკიმ დაწვრილებით გაარჩია ყოველი მუხლი ბრალდებისა. ჩვენ ამას არ მოვიყვანთ აქ, რადგან ესენი დაწვრილებით გაარჩიეს დამცველებმა. დასასრულ თავ. არღუთინსკიმ ასე სთქვა:

„მე დავათავე, რისაც თქმა მინდოდა, ბ-ნო მსაჯულნო! მე ყოველთვის იმ აზრისა ვიყავი, რომ თუ გვინდა საქმემ მუდამ სასიკეთოდ წინ იაროს, საფუძვლად პატიოსნება და სიყვარული უნდა ჩაუდვას კაც-

მა თავის შრომას და თვითონ მშრომელიც ამით მოიპოვებს თავის კმაყოფილებას. უკანასკნელის სამის წლის გამოცდილებამ დამარწმუნა, რომ საქმეში ამ გვარად მუშაობა დიდ წყენასა და საყვედურებს მოგაყენებს. გამგეობაში რომ შევიდოდი, სავსე სურვილები მქონდა ჩემის სამშობლო ქალაქისათვის მემსახურა და მით სარგებლობა მომეტანა· რაც-კი შემეძლო, სრულის გატაცებით მივეცი თავი ქალაქის საქმეებს და ყოველი ჩემი ნიჭი, ძალა და ღონე ამ საქმეებში ჩავყარე, რამდენიც შემეძლო,—ვმუშაობდი, კარგად, თუ ცუდათ—ამის გარჩევა ჩემი საქმე არ არის. ამის ბოლო ის იყო, რომ თუმცა ახალის ვადით თითქმის ერთ-ხმად ვიყავი წევრად არჩეული, მაგრამ ამ თანამდებობაში მე არ დამამტკიცეს, ჩემ საყვარელ საქმეს მომაშორეს, და [illegible]დგან სამართალშიაც მიმცეს, ხმოსნო[illegible]ბაც გადამაყენეს და ქალაქის მოურავის მოადგილის მდგომარეობასაც მომაკლეს. ეს უკანასკნელი წლები თითქოს მაჯლაჯუნასავით მაწვნენ, გულს მიხოკავდნენ, ჩემ შეურაცხყოფად და შელანძღვად მიმაჩნდნენ. ჩვენ გვდევნიდნენ, სხვებს გვასევდნენ, ჰორიკანობდნენ, საშინელ მძიმე ბრალს გვდებდნენ... რისთვის—არ ვიცი. თქვენის გამმართლებელ განაჩენით, ბ-ნნო მსაჯულნო, თქვენ გამოაცხადებთ და ყველას დაუმტკიცებთ, რომ თუ კაცი გატაცებით და პატიოსნად საქმეს ეკიდება, წვრილმანი ნაკლულევანება იმას დანაშაულად არ ჩაეთვლება.“

—

ბრალდებულმა ხ. ა—ძემ ვერმიშევმა სთქვა: „განსამართლება და სასამართლოს მიერ საქმეების ძიება თავის თავად საკმარისი სასჯელია. მაგრამ პირადად ჩემთვის ესენი უფრო სასიხარულო მოვლენა იყო, რომელსაც სამი წელიწადია მოუთმენლად მოველოდი, იმიტომ რომ ამ გზით საშუალება მეძლეოდა თავიდან ამეხსნა ის ეჭვები, რომელიც გამგეობიდან ჩემმა დათხოვნამ გამოიწვია. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რა მდგომარეობაა, როცა კაცი იჭვს ქვეშ ხარ: ეს ისეთი მდგომარეობაა, როდესაც ყველა ჰორიკანობს შენზე, ყველა ბოროტად იხსენიებს შენს სახელს და უსაქმო კაცის ყბაში ვარდები, მსხვერპლი ხარ შენისავე დუმილისა. და, აი მოაღწია დრომ, როცა ტფილისის მცხოვრებთა და სამართლის წინაშეც შემიძლია გამოვარკვიო, რა არის ჩემი დანაშაული. მე იმით ბედნიერი ვარ, რომ რაშიაც გვამტყუნებენ, ყოველივე გამოქვეყნდა. მე არ მინდა, ბ-ნნო მსაჯულნო, გული მოგირბილოთ, მოწყალებასა და პატიებას კი არ ვეძიებ მე თქვენგან,—მე მინდა მხოლოდ სიმართლე. მე თუ სამსახურიდან ჩემი დათხოვნა მოვიგონე ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მინდა აგიხსნათ, რა გარემოებათა შორის აძლევდნენ მოწმები თავის ჩვენებას გამომძიებელს. თითქოს რაღაც მაჯლაჯუნა დააწვაო ამ ხანებში ქალაქის თვით-მმართველობას, თითქოს მეხის დაცემა უქადდა იმას და უპირველესად ყველა თავის მშვიდობიანობაზედ და თავის თავის უშიშრად დაყენებაზე ჰფიქრობდა. ეხლა კი, როცა სამართლის სხივებმა გაჰფანტეს მეხი, ხალხი დონეზე მოვიდა და მშვიდობიანად შეუძლიათ, რისაც თქმა უნდათ. აი, ამიტომაც აქ, სასამართლოში, ნათქვამს მოწმებისას სულ სხვა ფერი ეძლევა, ვიდრე გამომძიებელის წინ ნაჩვენებს.

„პატივცემულმა ბრალმდებელმა სთქვა გამგეობა პატრონია ქალაქის ყველა საქმეებისაო, მაგრამ ამისთანა ნათქვამი მე დაცინვად მიმაჩნია, იმიტომ რომ განა შესაძლებელია ამ პატრონს ბრალად, დანაშაულად ჩაეთვალოს, რომ მთელ თავის დროს ქალაქის უდიდეს და უმთავრესს საჭიროებას ანდომებს. გამგეობას თუ პატრონად სთვლიან, ეს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მას მოვალეობა აწევს და მოთხოვნილებას ეძიებენ იმისგან. გამოძიების დროს ჩვენ სხვა-და-სხვა ბრალს გვდებდნენ ტრამვაის მოწყობის გამო. ხალხში ზღაპრული ხმები გავრცელდა შესახებ იმისა, რომ გამგეობამ ამ საქმეში ბევრნაირი ბოროტ-მოქმედება ჩაიდინაო, მაგრამ გამამტყუნებელ ოქმში ამის შესახებ არა სჩანს-რა. ამგვარად, რაც გამგეობას ამის შესახებ ყოველის მხრიდან ბრალდება თავს ატყდებოდა, დღეს თავის თავად გაჰქრა“.

ამის შემდეგ ბ-ნმა ვერმიშევმა დაწვრილებით გაარჩია ყოველი მუხლი ბრალდებისა და შემდეგ ასე სთქვა:

„შესაძლებელია მართალიც იყოს ბრალმდებელი, როცა გვისაყვედურებს, რომ თუ ჩვენზე მონდობილი საქმეები ჩვენთვის საძნელო იყო და ამის ასრულებისათვის ძალა არ შეგვწევდა, გამგეობიდან უნდა გავსულიყავით. მართალი მოგახსენოთ, ხანდისხან ასეთი ფიქრიც მომსვლია, მოდი გამგეობიდან გავალ და უფრო წყნარ სამსახურს მოვძებნი მეთქი, მაგრამ, როცა ყოველის მხრიდან ნდობა მქონდა—საბჭოსაგან, ამხანაგობისაგანაც, მცხოვრებთაგან და მწერლობისაგანაც, გარდა იმ მწერლებისა, რომელნიც თვით-მმართველობის მოღვაწეთ მტრულად უყურებენ—მე გაორკეცებულის სურვილითა და ძალ-ღონით ვმუშაობდი, იმ გატაცებით, როგორც შეჰფეროდა ახალგაზრდობას. მგონია, რომ ჩემს მუშაობას უნაყოფოდ არ ჩაუვლია და მომავალ შთამომავლობას სახსოვრადაც დარჩება. აი სწორედ ამიტომ არ დავანებე თავი გამგეობას. ამას თავის მოწონებით-კი არ მოგახსენებთ, მე მინდა მხოლოდ საქმის მდგომარეობის ნამდვილი ვითარება დაგიხატოთ.

„მე მინდა კიდევ თქვენი ყურადღება იმას მივიქციო, რომ ამ საქმეს არა მარტო პირადად ჩვენთვის, ბრალდებულთათვის აქვს მნიშვნელობა, არამედ დიდად საზოგადოებრივიც. თქვენ, ბ-ნო მსაჯულნო, კარგად გაიცანით ჩვენი მოღვაწეობა, თქვენ დაინახეთ, რა პრინციპით ვემსახურებოდით ჩვენზე მონდობილ საქმეებს; არავითარი ძალღონე არ დაგვიზოგავს ქალაქის უდიდეს საჭიროებათა სამსახურისათვის; ჩვენ ვცდილობდით უპირველესად და უმთავრესად ფართოდ განზრახულ ქალაქის საქმეების განხორციელებას და ხანდისხან უნებლიეთი მცირე შეცდომებიც მოგვდიოდა, მაგრამ ისინი გროშის ფასისა თუ იყო. თუ თქვენის ავტორიტეტულის სიმაღლიდან თქვენ აღიარებთ დღეს, რომ ჩვენი მოღვაწეობა და ჩვენ მიერ შემოღებული წეს-რიგობა მუშაობისა მართალი იყო, ამით თქვენ კავკასიის ყველა თვით-მმართველობას გამოუცხადებთ, რით უნდა იწინამძღვრონ მათ; ამით თქვენ ეტყვით ამ თვითმმართველობათ, რომ ქალაქის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად ისინი მოვალენი არიან თავის სამსახურს ფართო შეხედულება დაუდონ საფუძვლად და თავის უმთავრესი ყურადღება კანცელარიის წეს-რიგსა და იქ ქაღალდების წერას კი არ უნდა მოანდომონ, არამედ ქალაქის ცოცხალ საქმეებს, იმ საქმეებს, რომელნიც უმთავრესს, უდიდესს საჭიროებას შეადგენს ქალაქის მცხოვრებლებისათვის. აი, ამ მხრით თუ შეჰხედავთ მთელ საქმეს, მე იჭვი არა მაქვს თქვენს განაჩენში და სრულის სიმშვიდით მივენდობი ქვენს შეხედულებას.

ბრალდებულმა ა. ა.—მემ **ივანენკომ** დაწვრილებით აუხსნა პალატას ქალაქის ფინანსიური მდგომარეობა იმ დროს განმავლობაში, როცა ის გამგეობის წევრად იყო და ბრალდების ყოველი მუხლი ცალ ცალკე გაარჩია და უარჰყო. მღელვარებამ ისე აიტაცა ბ-ნი ივანენკო და ცრემლები ისე მოერია, რომ პალატამ სამჯერ შესწყვიტა სხდომა. ბოლოს, როგორც იყო, ბრალდებულმა ღონე მოიკრიბა და თავისი სიტყვა შემდეგის სიტყვებით დააბოლოვა: „როცა გამგეობის რევიზია მოულოდნელად მოახდინეს, ყველაზე უწინ რევიზორებმა კასის ანგარიში მოითხოვეს; ამის შემდეგ დაუყოვნებლივ ბუხჰალტერიიდან ცნობები მოითხოვეს იმის შესახებ, კასაში ნამდვილად რამდენი უნდა ყოფილიყო ფული. კასისა და ბუჰხალტერიის ცნობები სრულებით ერთი გამოვიდა, მაგრამ ეჭვი შეიტანეს, ვითომ ბუჰხალტერიის ცნობები კასის შესახებ ნამდვილი იყო და მე სამსახურიდან გადამაყენეს; არც კი მკითხეს ისე დამითხოვეს. ერთგვარმა მწერლობამ განგაში დაჰკრა და ქალაქში ყოველგვარი ხმა გავრცელდა, ვითომ ფული გაგვეფლანგოს და ყოველ-გვარი ბოროტება ჩაგვედინოს. ნამდვილად კი, როცა შემდეგში ქალაქის კასისა და სხვა დავთრები 5—6 წლისა ერთმანეთს შეადარეს, აღმოჩნდა, რომ ბუხჰალტერიიდან რევიზორებისათვის მიცემული ცნობა სრულიად მართალი გამოდგა. მაგრამ ამაზე ხმას არავინ იღებდა. როგორც მოგეხსენებათ, ცუდი სახელი მალე გაუვარდება კაცს, კარგი კი—გვიან. მე, როგორც პედაგოგსა და საზოგადო მოღვაწეს, დიდი ხანია მიცნობენ: მთელი კავკასია მოფენილია ჩემი მრავალი მოწაფეებით, რომელთაც მე სულ სხვა რამეს ვასწავლიდი და არა იმას, რაშიაც მე ხალხის ხმა მამტყუნებდა ამ საქმეში. იქამდის მივედი, რომ ვეღარ გავუძელი ამდენ უსამართლობას, აქ ყველაფერი მივყიდე და სოფლად გავიქეცი. დღევანდელ დღეს მოუთმენლად მოველოდი... როცა პროკურორმა მთელი საქმე მოისმინა, მე მეგონა მეტყოდა, რომ ქალაქის ბუხჰალტერიაში არავითარი ბოროტ-მოქმედება არ ყოფილა, მაგრამ არა, პირ-იქით ის თხოულობს ჩემს დასჯას, თუმცა უიმისოდაც ბევრი სასჯელი და მწუხარება ავიტანე... კეთილი სახელი დამიკარგეს, ნივთიერადაც ზარალი მომცეს... 26 წელიწადი სწავლა-განათლების საქმეს ვემსახურე, 7 წელიწადი ქალაქს... ჩემ უკანასკნელ ძალ-ღონეს და დროს შრომას ვახმარებდი და ნუ თუ ყველაფერმა ფუჭად უნდა ჩაიაროს.. ნუ-თუ დაუდევარას სახელი უნდა ვატარო!.. (მეტად მღელვარებს და სიტყვას ვერ ათავებს).

ბრალდებულმა გ. ი—ძემ **ხოსროევმა** გამოუცხადა პალატას, რომ საქმის ვითარება დანარჩენ ბრალდებულთა და იმათ დამცველებმაც საკმაოდ ახსნესო და არავითარი საბუთებიც არ დარჩენილა, რომლის ძალით შესაძლებელი იყოს ჩემი გამტყუნება. ისიც უთხრა, რომ 32 წელიწადია შეუბღალავად საზოგადოებას ვემსახურები და არა მგონია ეხლა პალატამ თავის განაჩენით ამდენი ხნის ჩემი ნამსახური შებღალოსო.

—

ნაშუადღევის სამ საათზე დასრულდა ყველა სიტყვები. საღამოს $6^1/_2$ საათზე პალატამ გამოაცხადა თავისი განაჩენი: როგორც მოგეხსენებათ, ყველა ბრალდებულნი სრულიად გამართლებულნი იყვნენ.

II

გუშინ, 21 დეკემბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატის სამოქალაქო ნაწილის პირველმა დეპარტამენტმა განიხილა საქმე პოდპოლკოვნიკის აწ გარდაცვალებულის დიმიტრი სულხანის ძის ჭავჭავაძის ანდერძის შესახებ. ამ საინტერესო საქმის გარემოება შემდეგია:

თელავის მაზრის სოფელ წინანდალის მცხოვრებს თავ. დიმიტრი ჭავჭავაძეს, რომელიც გარდაიცვალა 1886 წელს, დარჩა ანდერძი; უკანასკნელის ძალით მეს მიერ სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაში სასარგებლოდ შეტანილი 400,000 მან. უნდა ყოფილიყო ხელ-უხლებლად, ხოლო ამ ფულიდან 200 ათასი მანეთის სარგებელით მოანდერძეს ძმას თავ. ივანე სულხანის ძეს ჭავჭავაძეს უნდა გამოეზარდა სასწავლებელში თავისი შვილები და შემდეგ ივანეს გარდაცვალებისა ეს 200,000 მან. უნდა მომატებოდა მეორე ნახევარს 200 ათას მანეთს, რომლის სარგებლითაც უნდა მომზადებულიყვნენ ტფილისის გუბერნიაში მცხოვრებ ჭავჭავაძეთა გვარის ბავშვები და თვით მოანდერძეს დროებითად ვალდებულ გლეხების ბავშვები რუსეთის მდაბალ, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში და სამი სტიპენდია მოანდერძეს სახელობაზე უნდა დაარსებულიყო აგრეთვე სასულიერო სემინარიაში. ამ ანდერძის წინააღმდეგ საჩივარი აღძრა დიმიტრი ჭავჭავაძის ძმის წულმა სულხან ჭავჭავაძემ ტფილისის ოლქის სასამართლოში; ის ითხოვდა: რადგანაც ბიძა ჩემი დიმიტრი, გარდაცვალების წინა ხანებში უკვე თავის თავს არ ეკუთვნოდა, რომ თითქმის შერყეულიც იყო, ამიტომ მისგან შედგენილი ანდერძი უკანონოდ უნდა ჩაითვალოს და ის 400 ათასი მანეთი, რომლის სარგებელი უნდა გადადებულ იქნეს კავკასიის სამოსწავლო ოლქის განკარგულებაში ბავშვთა აღსაზრდელად, გთხოვთ ჩემს საკუთრებად იცნოთო. ტფილისის ოლქის სასამართლოს ეს საჩივარი განუხილავს 1892 წელს; ანდერძი კანონიერად შედგენილი უცვნია და სულხან ჭავჭავაძის განცხადება უყურადღებოდ დაუტოვებია. თავ. ჭავჭავაძეს ოლქის სასამართლოს განაჩენი განუსაჩივრებია ტფილისის სამოსამართლო პალატაში, რომელსაც ოლქის სასამართლოს განაჩენი დაუმტკიცებია და იმის განხილვაში არ შესულა, თუ რამდენად კანონიერად იყო შედგენილი ანდერძი და სრულს თავის მეხსიერებაში და ჭკუაში ყოფილა თუარა გარდაცვალებული დიმიტრი ჭავჭავაძე. ტფ. სამოსამართლო პალატის გახაჩენზე თავ. ჭავჭავაძის რწმუნებულს ნაფიც ვექილს ეგენი ივ. კედრინს კასაციური საჩივარი მიუცია უმართებულეს სენატში და უთხოვნია, სამოსამართლო პალატამ ხელმეორედ განიხილოს არსებითად საქმის გარემოება და დაიბაროს მოწმები იმის დასამტკიცებლად, თუ დ. ჭავჭავაძემ რამდენად ნორმალურ მდგომარეობაში შეასრულა ანდერძიო. სენატს შეუწყნარებია კედრინის საჩივარი და პალატისათვის ხელმეორედ საქმის არსებითად განხილვა მიუნდვია.

(დასასრული იქნება)

—

გუშინ, 21 დეკემბერს, ამ საქმის გამო ტფილისის სამოსამართლო პალატამ დაამთავრა მოწმების ჩვენების ჩამორთმევა და ოქმის შედგენა საღამოს 8 საათზე. როდესაც მოწმებმა თავიანთ ჩვენებებზე ხელი მოაწერეს და პალატის თავმჯდომარემ მიჰმართა მხარეთ—გაქვთ რამე კიდევ სათქმელი საქმის შესახებო, სულხან ჭავჭავაძის ვექილებმა ევ. კედრინმა და პ. ოპოჩინინმა იშუამდგომლეს, რომ მთელი მასალა მოწმების ჩვენებისაგან მიღებული განხილულ იქმნეს საექსპერტო კომისიისაგან, რომელსაც უნდა შეადგენდნენ ფსიხიატორი და სიფილიდოლოგი ექიმები და ამათ თავიანთი მოსაზრებანი წარუდგინონ სამოსამართლო პალატას. მოპასუხე ინტერესების დამცველმა ნაფიც ვექ. აგულევიჩმა განაცხადა—მეტად მიმაჩნია წინააღმდეგ მხარეთა განცხადებაო. მცირე ხნის შემდეგ პალატამ ამ შუამდგომლობის შესახებ გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც მომავალ წლის 2 იანვრამდე ნება ეძლევა მხარეთ თვით ამოირჩიონ ექსპერტები. იმ შემთხვევაში თუ ექსპერტების მხარენი ვერ შეთანხმდნენ და ან 2 იანვრამდე მათი ვინაობა არ დაუსახელეს პალატას, მაშინ პალატამ თვისის გარდაუწყვეტილებით ექსპერტებად უნდა მოიწვიოს ექიმები მ-ნ პავლოვსკი, ისტამანოვი და გედევანიშვილი. შემდეგ საქმის განსახილველად განსაკუთრებული სხდომა იქნება დანიშნული პალატაში.

საღამოს დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

21 დეკემბერი.

პეტერბურგი. უმაღლესად ნაბრძანებია ფინლიანდიის მსროლელთა ბრიგადას დაერქვას ფინლიანდიის მსროლელთა პირველი ბრიგადა; დაარსებულ იქმნას ფინლანდიის მეორე მსროლელთა ბრიგადა, რომელსაც შეადგენენ მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე და მერვე ფინლიანდიის მსროლელთა პოლკები.

ტავრიდის გუბერნატორს უმაღლესად ებრძანა იყოს უმართებულეს სენატის წევრად.

კონსტანტინეპოლი. ლანსდოუნმა განუცხადა ოსმალეთის ელჩს, რომ ინგლისის ზღვაოსნებმა მართლა ამართეს დროშა შეიხის სახლზე კოვეიტში, მაგრამ ამასთან სახეში არა ჰქონიათ კოვეიტში status quo-ს შეცვლა; დროშა მხოლოდ იმისათვის იყო ამართული, რომ ნიშანი მიეცა ინგლისის გემისათვის, რომელიც კოვეიტის ნავთსადგურში იდგა; საჭიროება რომ აღარ მოითხოვდა, დროშა ჩამოიღეს. გასულ პარასკევს მობარუჰის სახლზე კვლავ ამართული იყო ოსმალეთის დროშა, პირველად უკანასკნელ ხუთის კვირის განმავლობაში.

შანხაი. იმპერატორის სახლეულობა მოვიდა ჩინტონფუს და პარასკევს რკინის გზით წავა პეკინს.

ჰავანნა. ნაციონალისტი პალმა არჩეულ იქმნა კუბის რესპუბლიკის პრეზიდენტად.

პეტერბურგის ბირჟა 21 დეკემბერს

ვექსელის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	93,65
ბერლინზე 100 მარკაში	$45,92^1/_2$
პარიზზე 100 ფრანკში	—
ლონდონზე ჩეკები	94,50
ბერლინზე „	46,30
პარიზზე „	$37,57^1/_2$
ბირჟის დისკონტი	$5^1/_2$—7%
4% სახელმწიფო რენტა	$96^1/_8$ გაყიდ.
$4^1/_2$% შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამ. ბანკისა	—
5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	479 მყიდვ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	$365^1/2$ „
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	$248^1/_2$ „
$3^1/_2$% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა	—
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	$87^5/_8$ გაყიდ.
$4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	82 „
ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ	$87^1/_4$ „
$4^1/_2$% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის. 6% გირ. ფურცლ	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—

გამომცემელი და დრ. რედაქტორი ალ. ჯაბადარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისის).

ა) ტფილისიდან ბათუმისაკენ: 1) საფოსტო მატარებელი გადის სადამოს 7 ს. 45 წ. (8 ს 52 წ.); 2) სამგზავრო გადის დილის .9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.).

ტფილისიდან ბაქოსაკენ: 1) სწრაფი მატარ. გადის (მხოლოდ პარასკევობით) ნაშუადღევის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.); 2) საფოსტო—გადის დილის 11 ს. 47 წ. (12 ს. 45 წ.); 3) სამგზავრო—გადის სადამ. 9 ს. 36 წ. (10 ს. და 34 წ.).

ტფილისიდან ყარსისაკენ: საფოსტო მატარ. გადის სადამ. 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ტფილისიდან ბორჯომში: სამგზავრო მატარ. გადის შუადღის 1 ს. 44 წ. (2 ს. 42 წ.).

ბ) ქუთაისიდან ბაქო-ტფილისისაკენ 1) გადის შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.); 2)—შუადამის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.).

ქუთაისიდან ბათუმისაკენ: 1) მატარ. გადის ღამის 3 ს. 32 წ. (4 ს. 30 წ.) (ამავე მატარებლით შეიძლება შორაპნამდე მიმავალ მატარებლით წასვლა რიონიდან); 2) გადის სადამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

ქუთაისიდან შორაპნამდე—გადის ნაშუადღევის 3 ს. 30 წ. (4 ს. 28 წ.).

გ) ბათუმიდან ტფილისამდე და ბაქომდე, 1) საფოსტო მატარ. გადის სადამ. 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო მატარ. გადის დილის 8 ს. 58 წ. (9 ს. 56 წ.).

განცხადებანი

ცინკოგრაფია

წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა

ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

„წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის“

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ალ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო	1	—
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე	1	50
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწულა—დ. მაჩხაანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუვე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთვის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
სამზარეულო—ქართული და ევროპიული საჭმელებისა	1	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მამად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
ღვინის დაყენება პროფეს. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა	—	50
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	20

პროვინციელთ შეუძლიანთ წიგნები ფას დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიანთ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: **Тифлисъ**, Грузинское Издательское Товарищество.

თხზულება

თ. რ. ერისთავისა

I ტომი

ფასი სამი აბაზი.

იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში, ლორის მელიქოვის ქუჩ., ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.

საბედნიერ-დღეოდ

იყიდება ფარმაცევტთა ამხანაგობის მაღაზიებში

(სასახლის ქუჩაზე და მუხრანიანთ ქუჩაზე)

შობის ხის სრული მორთულობა

კოლოფი 2, 3, 4, 5, 6, 8, 9, 10, 12, 15, 20 და 25 მანეთიანი. აქვე იყიდება საგანგებოდ არჩეული **საჩუქრებისთვის** ფოტოგრაფიული აპპარატები და მათი კუთვნილება, სტერასკოპები და მათთვის სურათები.

საპირფარეშო სამკაული და ყველა ფირმების პარფიუმერია და კოსმეტიკა.

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ. Товарищество фармацевтовъ.

ტელეფონი № 741.

ადრესი ტელეგ.: **Тиф. „Фармацевтика“.**

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

„ჯეჯილი“

(წელიწადი მეცამეტე)

გამოვა **1902** წელსაც თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორც აქამდის.

ჟურნალი „ჯეჯილი“ მიღებულია ტფილისის საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლების სამკითხველოებში საკითხავათ.

ჟურნალი «ჯეჯილი» ტფილისში დატარებით ღირს 4 მან. ტფილისს გარეშე გაგზავნით 5 მან. ცალკე ნომერი 50 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარ წლით.

ხელის მოწერა მიიღება: ტფილისში—„წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარიაში (**Дворцовая ул. д. Грузинскаго Дворянства, № 101**) და თვით „ჯეჯილის“ რედაქციაში (**Аартиллер. ул., № 5, возлѣ кадетскаго корпуса**).

ფოსტის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала **„ДЖЕДЖИЛИ“**.

მიიღება ხელის მოწერა

მეათე წელიწადი

დამდეგ 1902 წლისათვის

სამოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი

„კვალი“

გამოვა 1902 წელსაც ყოველ კვირა დღეს, ერთიდან სამ თაბახამდე.

წლის განმავლობაში „კვალში“ დაიბეჭდება მეცხრამეტე საუკუნის მოღვაწეთა სურათები (ევროპის, რუსეთის და ჩვენის) მათი ბიოგრაფიებით. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ქართველ მოღვაწეებს.

გაზეთი წლიურათ ღირს ტფილისში 7 მან., ტფილისს გარეთ 8 მან., ნახევარი წლით ტფილისში 3 მან. 50 კ., ტფილისს გარეთ 4 მან., ხოლო სამი თვით 2 მან., თითო ნომერი სამი შაური. ადრესის გამოცვლა ტფილისს გარეთ ღირს ორი აბაზი.

ხელის მომწერლებს შეუძლიათ წლის ფული ნაწილად შემოიტანონ.

ხელის მოწერა მიიღება

ტფილისში: «წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, სათავად-აზნაურო ქარვასლა), რკინის გზის სადგურზე—პირველ კლასის ბუფეტში ესტატე ჩხარტიშვილთან და თვით „კვალის“ რედაქციაში, თეატრის ქ., № 12.

ქუთაისში: მიტროფანე ლაღიძესთან და ვ. ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზიაში; ბათუმში: ქ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში და სახალხო უფასო სამკითხველოში; ოზურგეთში და ახალ-სენაკში: ქ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში; ჭიათურაში: კალისტრატე ჭეჟინაძესთან და ბერიძესთან; ყვირილაში: ივანე ორდიშვილთან; დაბახნში: სახალხო სამკითხველოში.

(ვ. 3—2)

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакція **„КВАЛИ“**.

ყოველ-დღიური სამოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

გამოვა 1902 წელსაც გადიდებული ფორმატით

და იმავე პროგრამით, როგორც წინად.

ფასი გაზეთისა:

12 თვით	10 მ. — კ.	6 თვით	6 მ. — კ.
11 „	9 „ 50 „	5 „	5 „ 50 „
10 „	8 „ 75 „	4 „	4 „ 75 „
9 „	8 „ — „	3 „	3 „ 50 „
8 „	7 „ 25 „	2 „	2 „ 75 „
7 „	6 „ 50 „	1 „	1 „ 50 „

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ «ივერია» მთელის წლით დაუთმობათ 8 მან.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზე შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანეთი; ხოლო თუ ტფილისის გარეშე ხელის-მომწერელი ერთის ადგილიდან მეორეში გადავიდა, უნდა წარმოგზავნოს ორი აბაზი.

შეღავათი წლიურ ხელის-მომწერთათვის: ვინც გაზეთს ამ თავით მთელის წლით დაიბარებს, იმას შეუძლიან წლის ხელის-მოსაწერი ფული ნაწილ-ნაწილად შემოიტანოს ამგვარად: ხელის-მოწერის დროს 3 მან; პირველ მარტს—2 მან; პირველ მაისს—3 მან. და პირველ სექტემბერს—2 მან.

ფასი განცხადებისა:

მეოთხე გვერდზე თითო ჯერ სტრიქონი—5 კაპ., პირველზე—10 კაპ..

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტფილისი, „ივერიის“ რედაქციას ნიკოლოზის ქუჩა № 21.

და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარ., სასახლის ქ., თავად-აზნაურობის სახლი.

საფოსტო ადრესი: **ТИФЛИСЪ** Редакція „ИВЕРІА.“

დროებით რედაქტორი **ა. ი. სარაჯიშვილი**. გამომცემელი **ილია ჭავჭავაძე**.

ამხანაგობა „შრომა“

საკუთარ ხეხილეულობის სანერგედან ჰყიდის

ძლიერ იაფად დამყნილ

ნერგებს

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ: აგრ. დიღომში—გ. ამირიკაანცს; ტფილისში—ბაღოსნობა «ფლორას» ქ მუშტაიდში—ზ. ურიდიას.

კატალოგი იგზავნება უფასოდ. (20—8)

1902 г. **ВЪ ГОРОДѢ КАРСѢ** **Годъ XX**

Карсской области

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА ГАЗЕТУ

„КАРСЪ“

На будущій 1902 годъ.

Газета «Карсъ» въ 1902 году будетъ издаваться на тѣхъ-же основаніяхъ, какъ и въ текущемъ 1901 году, по той-же программѣ и подъ тою-же редакціею.

УСЛОВІЯ ПОДПИСКИ: съ доставкою и пересылкою 3 руб. въ годъ.

ПОДПИСКА принимается въ редакціи газеты „Карсъ“, въ городѣ карсѣ, куда адресуютъ свои требованія и иногородные.

Дазета „Карсъ“ имѣетъ ближайщею цѣлью всестороннее изученіе Карсской Области и распространеніе въ обществѣ вѣрныхъ и точныхъ свѣдѣній, какъ о нынѣшнемъ ея состояніи, такъ и о мѣропріятіяхъ, направленныхъ къ ея благоустройстѣя. (ვ. 3—2)

Открыта подписка

на 1902 годъ

НА ИЗДАЮЩУЮСЯ ВЪ РОСТОВѢ НА ДОНУ

большую ежедневную политическую, литературную и экономическую газету

„Приазовскій Край“

СЪ ЕЖЕНЕДѢЛЬНЫМИ ИЛЛЮСТРИРОВАННЫМИ ПРИЛОЖЕНІЯМИ.

XII годъ изданія.

Давая ежедневно общирную хронику явленій и событій общей русской и заграничной жизни, „Приазовскій Край“ преслѣдуетъ разъ намѣченную цѣль—широкую разработку мѣстныхъ краевыхъ вопросовъ и нуждъ по всѣмъ отраслямъ общественной, экономической и торгово-промышленной жизни. Всѣ факты, отмѣченные общественнымъ интересомъ, находятъ мѣсто и надлежащее освѣщеніе на страницахъ газеты.

Собственные корресцонденты въ крупнѣйшихъ европейскихъ центрахъ, во внутренней Россіи и во всѣхъ мѣстностяхъ Донской области, Приазовья и Сѣвернаго Кавказа.

Собственныя и агентсскія телеграммы политичеекія, обществтнныя и биржевыя.

Въ еженедѣльныхъ „приложеніяхъ“—иллюстраціи, беллетристика, новости науки, литературы и промышленности, смѣсь.

УСЛОВІЯ ПОДПИСКИ ВЪ РОССІИ:

Съ доставкой и пересылкой для городскихъ и иногороднихъ подписчиковъ:		**безъ доставки** для гороодскихъ подписчиковъ:	
на годъ	9 руб.— к.	на годъ	8 руб.— к.
6 мѣсяцевъ	5 „ — „	6 мѣсяцевъ	4 „ 50 „
5 „	4 „ 25 „	5 „	3 „ 75 „
4 „	3 „ 50 „	4 „	3 „ — „
3 „	2 „ 75 „	3 „	2 „ 25 „
2 „	2 „ — „	2 „	1 „ 50 „
1 „	1 „ — „	1 „	„ 80 „

За пересыльку газеты за границу взимается сверхъ подпиской цѣны добавочныхъ 60 коп. ежемѣсячно. За перемѣну адреса взимается: съ иногороднихъ или съ городскыхъ на иногородніе 25 коп.

Подписка принимается: въ Ростовѣ на Дону, въ главной конторѣ газеты „Приазовскій Край“.

Разсрочка подписной платы допускается только для лицъ, подписывающихся съ 1-го января на годъ (о чемъ должно быть заявлено при уплатѣ перваго взноса), и только на слѣдующихъ условіяхъ: I) полугодичная—при подпискѣ—5 р. и къ 1-му іюля—4 р. II) въ три срока: при подпискѣ—4 р., къ 1 мая—3 р. и 1 сентября—2 руб.

(ვ. 3—2)

Редакторъ и отвѣтственный издатель С. Х. Арутюновъ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 31 Декабря 1901 г.

ელექტრონით მოძრავი სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხანაგობის.